პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
28 აპრილი
1940 წ.
№ 98 (5799)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აზერბაიჯანის XX წელი

მოძმე რესპუბლიკას — საბჭოთა სოციალისტურ აზერბაიჯანს XX წელი შეუსრულდა. 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის ქალაქებსა და სოფლებში მაღლა აფრიალდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა. აზერბაიჯანის მშრომელმა ხალხმა ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული წინამძღოლობით საბოლოოდ დაამხვრია კაპიტალისტების, მემამულე-ბეგებისა და კონტრრევოლუციური მუსავატელების მონობის მძიმე უღელი.

ეს გამარჯვება აზერბაიჯანის მშრომელებმა მოიპოვეს რუსი ხალხის დახმარებით, სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, რომელსაც სათავეში ედგნენ და ბაქოში შეუძღვნენ ბოლშევიკთა პარტიის საუკეთესო შვილნი — **სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი და ანასტას მიქოიანი.**

ამგვარად, წარმატებით დამთავრდა ბაქოს პროლეტარების და აზერბაიჯანის მშრომელთა დიდი ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რასაც გმირულად შესწირეს სიცოცხლე ბაქოს სახელოვანმა კომისრებმა **სტ. შაუმიანმა, ა. ჯაფარიძემ, მ. აზიზბეკოვმა, ვ. ფიოლეტოვმა** და სხვ.

რევოლუციურ ბაქოში დიდმა **სტალინმა** არაერთი წელი გაატარა. ამხანაგი სტალინი აქ მუშაობაში და ბრძოლაში აწრთობდა რევოლუციურ კადრებს, ასწავლიდა ბაქოს ბოლშევიკებს ბრძოლასა და გამარჯვებას, ხელმძღვანელობდა ბაქოს პროლეტარიატის გმირულ ბრძოლებს. ამიტომ იყო, რომ პროლეტარული ბაქო მუდამ წარმოადგენდა ბოლშევიზმის უძლეველ ციხე-სიმაგრეს. სტალინის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე აზერბაიჯანის კომუნისტები გაბედულად წარუძღვნენ ბრძოლაში აზერბაიჯანის პროლეტარებსა და მშრომელ გლეხობას მეფის ჯალათების, კაპიტალისტების, მემამულეებისა და უცხოელი ინტერვენტების გასანადგურებლად, დაამხეს გამცემელი მუსავატელების ხელისუფლება და სამუდამოდ გაათავისუფლეს მშრომელი ხალხი საუკუნეობრივი ჩაგვრა-მონობისაგან.

დაიწყო დიდი ოქტომბრის მზით გამთბარი აზერბაიჯანის არნახული აღორძინება და კულტურული აყვავება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეები ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ა. მიქოიანი.

ახლა ვეღარ იცნობთ ძველ, ჩამორჩენილ აზერბაიჯანს პატრიარქალურ-ფეოდალური, მუდამ დამშეული სოფლებით, რომელიც წინათ წარმოადგენდა მეფის რუსეთის ერთერთ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და დაბეჩავებულ კოლონიას. ახლა მან სრულიად იცვალა სახე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად მძლავრი მრეწველობითა და სწრაფად მზარდი სოფლის მეურნეობით.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთელი კავშირი აზერბაიჯანის შავი ოქროთი — ნავთით ცხოვრობს" (სტალინისა და მოლოტოვის მისალმებიდან აზერბაიჯანის მშრომელებისადმი). საბჭოთა აზერბაიჯანი წარმოადგენს სსრ კავშირის ნავთის ძირითად ბაზას ბაქოს მდიდარი საბადოებით, რომელიც ამჟამად იძლევა მთელი ამოღებული ნავთის 70 პროცენტზე მეტს. 1913 წელთან შედარებით ნავთის ამოღება სამჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. ნავთის ამოღებისა და გადამუშავების საქმე მოწყობილია უახლესი ტექნიკის საფუძველზე, ძირითადი რეკონსტრუქცია განიცადა ნავთის გადამამუშავებელმა მრეწველობამ, შექმნილია ახალი, მძლავრი კრეკინგ-ქარხნები, ათვისებულია ახალი სახის ნავთპროდუქტების წარმოება. აქ ნაპოვნია სამკურნალო ნავთი — ნაფტალანი.

სახე იცვალა თვით ქალაქმა **ბაქომაც**. სადღაა ახლა ნობელის დროის დაღვრემილი ბაქო, შავი ქალაქი მჭვარტლიანი, ღარიბული ქოხმახებით და ტალახიანი ქუჩებით, სადაც ნავთის საწარმოთა მუშები ატარებდნენ უსიხარულო დღეებს! ახლა იმ ადგილას აღმართულია სოციალისტური ქალაქი მრავალსართულიანი ნათელი საცხოვრებელი ბინებით, ვრცელი მოედნებით, ჩრდილოვანი ბაღებით, ხეივნებით. მრავალი პარკი, კულტურული დაწესებულებანი, ტრამვაი, წყალსადენი, ელექტრონის შუქი და სხვ. ემსახურება მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასეთია ახალი ბაქო, საბჭოთა აზერბაიჯანის მშვენიერი დედაქალაქი.

უდიდესი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის სოციალისტური მეურნეობის განვითარების საქმეში. წინანდელი პირველყოფილი კავის (ხიშის) მაგიერ, ახლა კოლმეურნეობები შეიარაღებული არიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ტრაქტორებით, კომბაინებით, ავტომანქანებით და სხვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საფუძველზე დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კერძოდ კი ბამბის მოსავალი.

აზერბაიჯანი — სსრ კავშირში მებამბეობის მეორე ბაზაა (უზბეკეთის შემდეგ). აქ განსაკუთრებით კარგად ხარობს ეგვიპტური გრძელბეწვიანი ძვირფასი ჯიშის ბამბა „სი-აილენდი". მუღანის ველი მეორე ხუთწლედის მანძილზე ამ იშვიათი ჯიშის ბამბის გაშენების ცენტრი გახდა.

ამხანაგ სტალინის პირადი ინიციატივით მეორე ხუთწლედის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. ლენქორანის წინათ ჭაობიან მიდამოებში, სადაც გამანადგურებელი მალარია მძვინვარებდა, ახლა გაშენებულია ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები 4225 ჰექტარზე. აქ მოჰყავთ ბრინჯი, აქ იზრდება თუთის ხე, აქვე ხარობს გრეიპფრუტი, ფეიხოა და სხვ. მალე ლენქორანში შეიქმნება ჩაისა და ციტრუსების მეორე საკავშირო ბაზა.

საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანის გლეხობას საამური და შეძლებული ცხოვრება მოუტანა. რესპუბლიკაში ასზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა. წლითი-წლობით იზრდება თვითეული კოლმეურნის შემოსავალი. კოლმეურნეები სიხარულით იშენებენ ნათელ ორსართულიან სახლებს, იძენენ ოჯახის მოწყობილობას, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ლიტერატურას.

მეფის დროის აზერბაიჯანში სიბნელე და ჩამორჩენილობა მეფობდა, წერა-კითხვის მცოდნენი სოფლად მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენდნენ. არ არსებობდა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად აზერბაიჯანში 14 უმაღლესი სასწავლებელი და 98 ტექნიკუმია, რომლებშიც 37.500 სტუდენტი სწავლობს, და 64 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. დაწყებითსა და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა შორის აზერბაიჯანელია 393.670 ახალგაზრდა, ამათგან 164 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი გოგონაა. შექმნილია ათასობით კლუბები, სამკითხველოები, კინოთეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. მცხოვრებთა 90 პროცენტზე მეტი წერაკითხვის მცოდნეა. ასეთივე სასახელო წარმატებებია მოპოვებული ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების საქმეში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ასევე ძვირფასი მონაპოვარია ადგილობრივი, ახალი კადრების აღზრდა. აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა, გაანადგურეს რა ხალხის მტრების — ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელთა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა გველის ბუდეები, განამტკიცეს მრავალერიანი აზერბაიჯანის ხალხთა ძმური კავშირი და გიგანტური მუშაობა ჩაატარეს ახალი კადრების აღსაზრდელად და დასაწინაურებლად. აღზრდილია საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა, ამხანაგი **სტალინისა.** სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდვრების მრავალი გამოჩენილი ადამიანი, სტახანოველი და მოწინავე მუშაკი დაწინაურებულ იქნა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. სამუშაოზე. მათ შორის მრავალი აზერბაიჯანელი ქალია.

საბჭოთა აზერბაიჯანის აყვავების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა დიდი **ლენინისა** და **სტალინის** ინიციატივით შექმნილმა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციამ, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ამიერ-კავკასიის ხალხთა საუკუნეობრივი ძმური კავშირი. აზერბაიჯანის მშრომელებს დიდი დახმარება გაუწია ნავთისათვის, ბამბისათვის, სახალხო მეურნეობის აყვავებისათვის, სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლაში ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ,** რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს.

1925 წელს ამხანაგი **სტალინი** ასე მიმართავდა აზერბაიჯანელ კომუნისტებს: „...ეჭვი არ მეპარება, რომ აზერბაიჯანის კომპარტია შესძლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკა გახადოს ნიმუშად აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისათვის და იმპერიალიზმის უღლისაგან მათი განთავისუფლების მედროშედ". აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა სასახელოდ შეასრულეს ბელადის ეს მითითება და კვლავ თავდადებით მუშაობენ მოპოვებულ გამარჯვებათა შემდგომი განმტკიცებისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი აზერბაიჯანის მშრომელებს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავზე.

შინსახკომის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახელმწიფო უშიშროების დაცვის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა შინსახკომის 754 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი. მათ შორის: სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ვ. მ. ბოჩკოვი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ნ. ს. ვლასიკი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ა. ი. ზიმენკოვი,** მაიორი **გ. კ. ზდორინი,** კორპუსის მეთაური **ი. ი. მასლენიკოვი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ვ. ნ. მერკულოვი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ი. ფ. ნიკიშოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ვ. ი. რუმიანცევი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ა. ნ. საჯაია,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ი. ა. სეროვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ვ. ტ. სერგიენკო,** განყოფილების მეთაური **ი. ე. უდოდენკო,** სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ფ. პ. ხარიტონოვი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ლ. ფ. ცანავა,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ა. კ. შკურინი.**

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 34 კაცი. მათ შორის: სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ვ. ს. აბაკუმოვი,** კაპიტანი **პ. ს. ბაბიჩი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **პ. გ. ბეგმა,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ვ. მ. ბლოხინი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ლ. ე. ვლოძიმირსკი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ნ. დ. გორლინსკი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ს. გ. დუხოვიჩი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **ს. ნ. კრუგლოვი,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **პ. ნ. კუბატკინი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **პ. ტ. კუპრინი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ს. ფ. კუზმიჩევი,** ბრიგადის მეთაური **ა. ა. ნიკიფოროვი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ვ. მ. პანკოვი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ს. ფ. პისმენსკი,** ბრიგადის მეთაური **ნ. პ. სტახანოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **პ. მ. ფიტინი.**

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია 126 კაცი. მათ შორის სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **მ. ა. ანდრეევი,** მილიციის უფროსი მაიორი **პ. ი. ანტონოვი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ა. ნ. ბაბკინი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **მ. დ. გორბაჩევსკი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ვ. ი. გავრიში,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ს. ფ. ემელიანოვი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **კ. ა. ზაიცევი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ი. ფ. ივაშკო,** უფროსი პოლიტხელმძღვანელი **ვ. ე. კოლოტუშჩენკო,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ლ. ა. მალინინი,** უფროსი ლეიტენანტი **გ. გ. მესიონჟნიკი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ნ. ვ. მიტროფანოვი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ა. ი. პანტელეევი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ი. ბ. პორტნოვი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **პ. ს. საფონოვი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ნ. ს. საზიკინი,** მილიციის კაპიტანი **ვ. ა. შაშკინი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **მ. იულდაშევი.**

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 204 კაცი. მათ შორის: სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ა. პ. აფანასიევი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **ა. ს. ბლინოვი,** სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი **ნ. ვ. ვავილოვი,** სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი **მ. ს. გრაჩოვი,** სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი **ნ. ვ. გრიგორენკო,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **პ. პ. დმიტრიევი,** სახელმწიფო უშიშროების მაიორი **პ. მ. ჟურავლიოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ვ. პ. ივანოვი,** სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **გ. ე. იონოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **პ. პ. კონოვალენკო,** სახელმწიფო უშიშროების სერჟანტი **ს. გ. ლაკაევი,** სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ი. დ. მაკაროვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ვ. გ. ნასედკინი,** სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **პ. კ. პრიშჩეპა,** მილიციის ინსპექტორი **ვ. ნ. რომანჩენკო,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ნ. ა. სადოვნიკი,** სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ა. ნ. სევერუხინი,** სახელმწიფო უშიშროების სერჟანტი **ლ. ა. სემიონოვი,** სახელმწიფო უშიშროების სერჟანტი **ვ. გ. სიმონოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი **ნ. ი. სინეგუბოვი,** სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ი. მ. ტკაჩენკო,** სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი **პ. ვ. ფედოტოვი,** სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ვ. ვ. იაშჩუკი.**

მედლით **„მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია 321 კაცი და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** —54 კაცი. (საკდესი).

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მიესალმებიან აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას კაპიტალიზმის უღლისაგან აზერბაიჯანის განთავისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის გამო.

მამაცმა და თავისუფლების მოყვარულმა აზერბაიჯანელმა ხალხმა ცარიზმისა და აზერბაიჯანელი ბეგებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში მრავალი გმირული ფურცელი ჩაწერა. ბაქოელი პროლეტარები არაერთხელ ყოფილან ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ სახელოვანი რევოლუციური ბრძოლების მოთავენი.

სამოქალაქო ომის წლებში აზერბაიჯანელმა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სასტიკად დაამარცხა მენშევიკები და ნაციონალისტები, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი და უცხოელი იმპერიალისტებისათვის დაემონებინათ აზერბაიჯანელი ხალხი, გაანადგურა ინგლისელი და ფრანგი ინტერვენტების ურდოები და კარგი გაკვეთილი მისცა ომის გამჩაღებლებს.

საბჭოთა აზერბაიჯანი, ჩამორჩენილი, ცარიზმის მიერ დამონებული კოლონიის ნაცვლად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის განმავლობაში გადაიქცა ნავთისა და ბამბის აყვავებულ რესპუბლიკად, ერთერთ მოწინავე მოკავშირე სოციალისტურ რესპუბლიკად. ნავთის მოპოვება 1939 წელს, 1913 წელთან შედარებით, გაიზარდა ერთისამად, ბენზინის გამომუშავება—თითქმის 50-ჯერ. ამუშავებულია ახალი ნავთიანი ფართობები: ყარა-ჩუხური, ლოკ-ბატანი, ყერგეზი, ყიზილ-ტეპე, შონგარი, პირსაგატი და სხვ. ხელახლა აგებულია ასობით ახალი საწარმოები, გაჩნდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის სამანქანათმშენებლო, სამაცივრო, სამკერვალო და სხვა დარგები.

ადამისდროინდელი ხის ხიშის (სახნისის) ქვეყნის ნაცვლად საბჭოთა აზერბაიჯანი მოწინავე მექანიზებული მიწათმოქმედების რესპუბლიკა გახდა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 5.000-ზე მეტი ტრაქტორი და ასობით კომბაინები. ბამბის საშუალო მოსავლიანობა 1913 წლის მოსავლიანობასთან შედარებით ერთიორად გადიდდა.

ყველა ამ წარმატებამ უზრუნველჰყო მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სწრაფი ზრდა. რევოლუციამდე აზერბაიჯანში არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა. ახლა რესპუბლიკაში არის 150 უმაღლესი სასწავლებელი, ტექნიკუმი და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. გაიზარდნენ მასწავლებელთა, ინჟინერთა, აგრონომთა, ექიმთა, ლიტერატორთა, მუსიკოსთა, მსახიობთა მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრები.

საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებმა ამ წარმატებებს იმის მეოხებით მიაღწიეს, რომ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურეს მტრის ბუდეები ყველა ჯურის ნაციონალისტებისა და იმპერიალიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტებისა, რომლებიც ცდილობდნენ თავისუფალი აზერბაიჯანელი ხალხისთვის კაპიტალისტური და ნაციონალური ჩაგვრის უღელი დაედგათ.

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ აზერბაიჯანელი ხალხი კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა აზერბაიჯანს— სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრეს, იბრძოლებს რესპუბლიკის ნავთის მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა აზერბაიჯანის ყველა მუშის, კოლმეურნისა და მშრომელი ინტელიგენციის კულტურული და შეძლებული ცხოვრების კიდევ უფრო მეტი აყვავებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მიულოცავს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს.

ბაქოს პროლეტარების მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობით, რომელიც იცავს რევოლუციური ბრძოლის იმ სახელოვან ტრადიციებს, რაც დიდმა სტალინმა შექმნა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ვითარდება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი—ნავთის მრეწველობა, მექანიზდება და იზრდება საკოლმეურნეო სასოფლო მეურნეობა, მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მტკიცდება და ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. გაიზარდნენ ნაციონალური საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აღნიშნავს რა უდიდეს სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითს მნიშვნელობას სსრ კავშირისათვის რესპუბლიკის მეურნეობის ისეთი დარგებისას, როგორიცაა ნავთი და ბამბა, გამოსთქვამს რწმენას, რომ ბაქოს პროლეტარები, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ყველა მშრომელნი, თავიანთი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ერთგულნი, უზრუნველჰყოფენ ამ დარგებში მესამე სტალინური ხუთწლედის ყველა დავალების შესრულებას და ამით კიდევ უფრო განამტკიცებენ სსრ კავშირის ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ, განუხრელად განახორციელებენ რა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, აზერბაიჯანის მშრომელნი კვლავაც მაღლა დაიჭერენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დროშას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მტკიცედ წავლენ წინ, კომუნიზმის გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხ. ბაგიროვს
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს—ამხ. ქასუმოვს
აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოს— ამხ. კულიევს

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ძმურ სალამს უძღვნის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მშრომელებს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის გამო.

20 წლის წინათ აზერბაიჯანის მშრომელებმა, აზერბაიჯანელი ხალხის ყველა მჩაგვრელისა და დამმონებლის წინააღმდეგ უსასტიკესი ბრძოლის შედეგად, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, სახელოვანი წითელი არმიისა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოების ხელისუფლება დაამყარეს.

მას შემდეგ გასული ოცი წლის მანძილზე აზერბაიჯანელმა ხალხმა, რომელიც საქმით ახორციელებდა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას და დაუზოგავად ანადგურებდა საზიზღარ მოღალატეებს, ჯაშუშებს, მავნებლებსა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, მიაღწია გიგანტურ წარმატებებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების დარგში., აზერბაიჯანი ერთერთი მოწინავე, აყვავებული რესპუბლიკა გახდა დიდ საბჭოთა კავშირში. აზერბაიჯანელი მუშები და გლეხები, აზერბაიჯანის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციის განთიადზე ამხანაგმა სტალინმა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზარდა, კიდევ უფრო განამტკიცებენ ინტერნაციონალურ ძმურ ურთიერთობას ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან და კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას.

აზერბაიჯანელი ხალხი, ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროვებს თავის რიგებს გამხეცებული მტაცებლური იმპერიალიზმის წინაშე, რომელიც მზად არის თავს დაესხას სოციალიზმის ქვეყანას.

გაუმარჯოს ჩვენს მოძმე სახელოვან აზერბაიჯანელ ხალხს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ წითელ არმიასა და სამხედრო - საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხანაგ მ. ჯ. ბაგიროვს
აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—ამხანაგ თ. კულიევს

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი მხურვალე სალამს უძღვნიან მოძმე აზერბაიჯანის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოცი წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა აზერბაიჯანის სახელოვანი ოცი წლისთავი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის მკაფიო გამოხატულებაა.

ჩამორჩენილი ქვეყნის ნაცვლად, რომელსაც ცარიზმი დაუზოგავად სჩაგრავდა, აზერბაიჯანი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში გადაიქცა მოწინავე, სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკად, სადაც დიდად განვითარებულია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. აზერბაიჯანის ნავთი ჰკვებავს მთელი საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიას, ამოძრავებს ჩვენს ტრაქტორებს, ჩვენს ავტომობილებს, ჩვენს მრისხანე ტანკებს, ჰაერში დააქროლებს ჩვენს თვითმფრინავებს.

ორდენოსანი აზერბაიჯანი, წარმოადგენს რა საბჭოთა კავშირის ნავთის ძირითადსა და ბამბის მეორე ბაზას, დღითიდღე ამრავლებს სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, ადიდებს ნავთის ამოღებას, ანმტკიცებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო ძლიერებას.

საბჭოთა აზერბაიჯანის ყველა გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია დიდი **სტალინის** სახელთან, მისი სახელოვანი თანამებრძოლების — სერგო ორჯონიკიძის, სერგეი მირონის-ძე კიროვის, ანასტას მიქოიანისა და ლავრენტი ბერიას სახელებთან.

ბაქო — საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქი — წმინდად ინახავს იმ წლების ხსოვნას, როცა აქ მუშაობდა დიდი **სტალინი,** რომელიც რაზმავდა, კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში აწრთობდა ბაქოს სახელოვან ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

ბაქოს გმირი პროლეტარიატი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მედროშე გახდა ამიერკავკასიაში. ბაქო იყო და კვლავ არის ბოლშევიზმის მძლავრი ციხე-სიმაგრე.

აზერბაიჯანის მშრომელებმა თავიანთი უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სამუდამოდ განდევნეს რა ქვეყნიდან კონტრრევოლუციონერი მუსავატელები — საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიები.

მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს ქართველ ხალხს აზერბაიჯანელ ხალხთან. ეს ურღვევი მეგობრობა ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ დღითი-დღე მტკიცდება ჩვენი ძლიერი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ძმურ ოჯახში.

მთელი აზერბაიჯანელი ხალხი, აზერბაიჯანის მებრძოლი კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, ფხიზლად დგას სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე, აძლიერებს თავის სიფხიზლეს მტრის ნაბოლარების ოინებთან ბრძოლაში, მზად არის დიდი **სტალინისა** და საბჭოთა მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე დადგეს სსრ კავშირის დასაცავად მისი თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

საბჭოთა აზერბაიჯანის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და აზერბაიჯანელი ხალხის ერთგული შვილის ამხანაგ მ. ჯ. ბაგიროვის მეთაურობით, მიაღწევენ სოციალისტური მშენებლობის ახალ, კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებებს.

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბაიჯანს!

გაუმარჯოს აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურს დიდ **სტალინს!**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შინსახკომის სანაპირო ჯარის უფროსი და რიგითი შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სახელმწიფო საზღვრების დაცვის დარგში მთავრობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება** და გადაეცეთ **ლენინის** ორდენები და „ოქროს ვარსკვლავის" მედალები:

1. წითელარმიელს ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ზაგორინსკის.**
2. კაპიტანს ივანე დიმიტრის-ძე **ზინოვიევს.**
3. ათასეულის კომისარს სიმონ სერგის-ძე **კისელიოვს.**
4. ლეიტენანტს ივანე მიხეილის-ძე **კობზუნს.**
5. პოლიტხელის მოადგილეს ფედოსი პავლეს-ძე **კორენჩუკს.**
6. წითელარმიელს გაბრიელ ვასილის-ძე **კუზიაკინს.**
7. უფროს ლეიტენანტს ანდრია გაბრიელის-ძე **ლუჟეცკის.**
8. უმცროს ლეიტენანტს დიმიტრი ფილიპეს-ძე **პეტრენკოს.**
9. უფროს ლეიტენანტს გრიგოლ პეტრეს-ძე **პეტროვს.**
10. პოლიტხელს ივანე ივანეს-ძე **პუშანინს.**
11. ლეიტენანტს დიმიტრი ივანეს-ძე **რაკუსს.**
12. წითელარმიელს ვლადიმერ ანდრიას-ძე **სამსონოვს.**
13. წითელარმიელს ალექსანდრე ვასილის-ძე **სპეკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 26 აპრილი.



ბაქო. „ლენინნეფტის" ტრესტის სარეწაოს პანორამა

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

კომუნისტი

კვირა, 28 აპრილი, 1940 წ. № 98 (5733)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო ჯარის ნაწილების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში მთავრობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

„წითელი დროშის“ ორდენით

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარის მე-4 პოლკი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარის მე-5 პოლკი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარის მე-6 პოლკი

რებოლის მე-73 სანაპირო რაზმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 26 აპრილი.

შინსახკომის სანაპირო ჯარის უშემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის და შინსახკომის ორგანოების მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში მთავრობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ორდენებით და მედლებით დააჯილდოვა 1.936 მეთაური, პოლიტმუშაკი და წითელარმიელი სანაპირო ჯარისა, აგრეთვე შინსახკომის ორგანოების მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 39 კაცი. მათ შორის—კაპიტანი **დ. პ. ანდრეევი**, წითელარმიელი **ი. პ. არტემენკო**, პოლიტხელის მოადგილე **ა. ი. ზრუბოვი**, სამხედრო ფერშალი **ა. ი. კაპიტანოვი**, კაპიტანი **პ. ვ. როჟანსკი**, ბატალიონის კომისარი **ს. ი. ჩერკალინი**, წითელარმიელი **ს. ი. ჩუბაკოტი**.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 430 კაცი. მათ შორის—უმცროსი მეთაური **გ. მ. აივაზიანი**, წითელარმიელი **ი. ს. ასტაშინი**, პოლკის კომისარი **დ. ი. ბორსკი**, მაიორი **ნ. ვ. ველიკოტნი**, წითელარმიელი **ი. ი. გოლოვანოვი**, კაპიტანი **ი. პ. დეგტიარევი**, უმცროსი მეთაური **ვ. ფ. დირდოვი**, მაიორი **ი. კ. ზაპორუჟეცი**, მე-2 რანგის ტექნიკოსი-ინტენდანტი **კ. დ. კარიცკი**, უფროსი სამხედრო ფერშალი **ი. დ. ლიამკინი**, ბრიგადის კომისარი **ი. ე. მასლოვსკი**, უმცროსი ლეიტენანტი **ფ. ს. ოზეროვი**, პოლიტხელი **ფ. ო. პრიტკოვი**, წითელარმიელი **ფ. ა. სერებრიაკოვი**, მე-2 რანგის სამხედრო ექიმი **ს. ი. ტალანოვი**, უმცროსი მეთაური **ნ. ნ. ტიურინი**, წითელარმიელი **ნ. ვ. ფომინი**, წითელარმიელი **ა. ი. შმელევი**, დივიზიის უფროსი **ნ. ი. იაცენკო**.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებულია 376 კაცი. მათ შორის—უმცროსი მეთაური **ვ. ნ. აბრამოვი**, პოლკის კომისარი (გამოტოვებულია) **ა. ფ. ბუროვი**, 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი **შ. ს. ვეტროვი**, ლეიტენანტი **პ. ი. გურიანოვი**, მაიორი **ნ. პ. დროზდოვი**, წითელარმიელი **მ. ი. შუკოვი**, უმცროსი მეთაური **მ. ა. კმინინი**, წითელარმიელი **ვ. კ. ლუკინი**, კაპიტანი **გ. ი. მელნიკოვი**, პოლკოვნიკი **ი. პ. მოლოშნიკოვი**, წითელარმიელი **პ. ი. პეტროვი**, ლეიტენანტი **ვ. კ. რიაბოვი**, უმცროსი მეთაური **პ. ა. სოლოვიოვი**, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ს. მ. ფიზინი**, პოლკოვნიკი **მ. ნ. შიშკარევი**, წითელარმიელი **ვ. მ. იაშკოვი**.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 44 კაცი. მათ შორის—მე-2 რანგის ტექნიკოსი—ინტენდანტი **პ. ვ. აკსენოვი**, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ს. ნ. ვორონინი**, მილიციის უფროსი ლეიტენანტი **ვ. ი. კონდრაშინი**, წითელარმიელი **პ. ი. მიხალაინენი**, ბრიგადის კომისარი **ვ. მ. იურკევიჩი**.

მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 487 კაცი, **მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“**—499 კაცი, **მედლით „შრომითი მამაცობისათვის“**—44 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“** —17 კაცი. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ლონდონი, 27 აპრილი (საქდესი). ინგლისის სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დომბოსის სამხრეთით მონაწილეობა მიიღეს გააფთრებულ ბრძოლაში. გერმანიის ჯარის შემოტევის შედეგად ინგლის-საფრანგეთის ჯარები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. ესტერდალენის ველზე მოქმედმა ნორვეგიის ჯარმა ააფეთქა ყველა ხიდი, რათა ხელი შეეშალოს ტრონჰეიმისაკენ გერმანიის ჯარის იმ ნაწილების შემდგომ წინწაწევას, რომლებიც რეროსის მხრიდან უტევენ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნორვეგიის ჯარი ინარჩუნებს თავის პოზიციებს ოსლო-ბერგენის რკინიგზის მაგისტრალზე, აგრეთვე რეროსის რაიონში. თუ რა მდგომარეობაა თვით რეროსში, გამოურკვეველია.

როგორც იუწყებიან, მოკავშირენი ყოველ მხრიდან შემოერტყნენ ნარვიკს. ინგლის-საფრანგეთის იმ ჯარების შემადგენლობაში, რომლებიც ნამსოსის რაიონში მოქმედებენ, არის საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელთა ლეგიონი.

როგორც გამოირკვა, ნორვეგიაში წარმოებული ომის პირველი ორი კვირის განმავლობაში ოსლო-ფიორდის აღმოსავლეთ სანაპიროზე იპოვეს 3.000 მოკლული გერმანელი, რომლებიც ზღვის ტალღებმა ნაპირზე გამორიყა.

ლონდონი, 27 აპრილი (საქდესი). „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ, ყველა ნიშნის მიხედვით, გერმანიის ჯარი ყოველნაირად ცდილობს დააჩქაროს თავისი ოპერაციების ტემპები ნორვეგიის ორ დიდ ველზე — გუდბრანდსდალენსა და ესტერდალენში. გუდბრანდსდალენის ველზე იგი განსაკუთრებით ცდილობს ხელთ იგდოს დომბოსის რკინიგზის კვანძი.

„დეილი მეილის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ ინგლისის ჯარის მცირე ნაწილებმა, რომლებიც ტრონჰეიმის ჩრდილოეთით მოქმედებენ, შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა ამ რაიონში.

სტოკჰოლმი, 26 აპრილი (საქდესი). ნორვეგიის მთავარი შტაბის 24 აპრილის კომუნიკეში ნათქვამია: „გერმანიის ჯარი თავს დაესხა ნორვეგიის პოზიციებს გუდბრანდსდალენის ველის სამხრეთ ნაწილში. ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ნორვეგიის კომუნიკაციებს. გერმანიის 3 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა და ერთი თვითმფრინავი იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო“.

სტოკჰოლმი, 27 აპრილი (საქდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შვეციას დიდძალი ლტოლვილი ნორვეგიელი მოაწყდა. გუშინ შვეციის საზღვარზე გადმოვიდა 400 კაცი, მათგან 300-მდე ნორვეგიელი ჯარისკაცი.

ლენინგრადის ბოლშევიკთა კონფერენცია

ლენინგრადი, 24 აპრილი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის IX საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შტიკოვმა.

საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კუზნეცოვმა.

— ლენინგრადის ბოლშევიკებმა, — სთქვა ამხ. კუზნეცოვმა, — დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ქალაქის საწარმოებმა შეასრულეს რა 1939 წლის გეგმა, საბჭოთა ქვეყანას მისცეს თითქმის 12,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია, რაც საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 11 პროცენტს შეადგენს.

მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესება არის შედეგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის აღმავლობისა, მათ მიერ ადმინისტრაციის მოქმედების კონტროლის უფლების პრაქტიკული განხორციელებისა.

ამხ. კუზნეცოვი დაწვრილებით ლაპარაკობდა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე საომარი მოქმედების დღეებში.

— ეს პერიოდი, — ამბობს ამხ. კუზნეცოვი,—არის ერთერთი უბრწყინვალესი ფურცელი ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ისტორიაში. ლენინგრადის პარტორგანიზაციამ შესძლო ქალაქის ყველა კომუნისტისა და ყველა მშრომელის მობილიზება ფრონტის დასახმარებლად. ფრონტი და ზურგი გაერთიანებული იყო. მშრომელებმა თავდადებული მუშაობით, თვითეულმა თავის პოსტზე, უზრუნველჰყვეს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამარჯვება.

დარბაზში ოვაციებმა იფეთქა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ჟდანოვის პატივსაცემად.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. იპატოვას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიისა და ამხ. ხარიტონოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული **კამათი**.

კონფერენციის ყურადღების ცენტრშია პარტიული მუშაობის მთავარი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XVIII ყრილობის დადგენილებებიდან და ამხანაგ სტალინის მითითებებიდან: კადრების აღზრდა და იდეური შეიარაღება, ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება.

23 აპრილს. საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება. კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით ესწრებოდა 848 დელეგატი და სათათბირო ხმის უფლებით — 299. 265 დელეგატი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. კონფერენციამ ერთსულოვნად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ გაგრძელდა კამათი საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

24 აპრილს, დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათი მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. კონფერენციის ტრიბუნიდან დელეგატები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის მდიდარ გამოცდილებას, ბოლშევიკურად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს და შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი მათს აღმოსაფხვრელად.

კონფერენცია მხურვალედ მიესალმება ლენინგრადის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ა. ა. ჟდანოვის გამოჩენას ტრიბუნაზე. დარბაზში დიდხანს არ სცხრება ოვაცია.

დიდს მკაფიო სიტყვაში ამხანაგმა ჟდანოვმა ქალაქისა და ოლქის პარტიულ ორგანიზაციებს მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები დაუსახა მათს შემდგომ მუშაობაში.

ამხანაგ ჟდანოვის სიტყვის დამთავრების შემდეგ ახალი ძალით ჰქუხს აღფრთოვანებული ოვაცია ბოლშევიკური პარტიის პატივსაცემად, დიდი სტალინის პატივსაცემად.

კამათში მონაწილეობის მისაღებად 132 დელეგატი ჩაეწერა, მონაწილეობა მიიღო 54 კაცმა.

კონფერენცია ტაშის გრიალში იღებს გადაწყვეტილებას: საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური ხაზი ცნობილ იქნას სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

საანგარიშო მოხსენებათა გამო წინადადებების შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია ამხ. ა. ა. ჟდანოვის თავმჯდომარეობით.

კონფერენცია ერთხმად ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიათა ანგარიშებს.

საღამოს სხდომაზე დაიწყო პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პლენუმების წევრთა და წევრობის კანდიდატთა კანდიდატურათა დასახელება.

კონფერენციამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვისადმი**.

დაიხურა ლენინგრადის IX საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებული პარტკონფერენცია

ლენინგრადი, 25 აპრილი (საქდესი). დღეს დილით კონფერენციაზე ხდებოდა დახურული (ფარული) კენჭისყრა.

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იყო დამთვლელი კომისიის ცნობა საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების არჩევნებისა და საოლქო კომიტეტისა და პარტიის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიების არჩევნების შედეგების შესახებ.

ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების შემადგენლობაში ერთხმად არჩეულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ა. ჟდანოვი.

კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული წინადადებანი საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებების ირგვლივ.

კონფერენციამ მიიღო მისალმება კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველი ყრილობისაგან და გაუგზავნა საპასუხო დეპეშა.

დღის წესრიგი ამოწურულია. თავმჯდომარე ამხ. შტიკოვი ლენინგრადის IX საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებულ პარტკონფერენციას დახურულად აცხადებს. დელეგატები ფეხზე დგებიან და საზეიმო ოვაციას ჰმართავენ ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის პატივსაცემად, სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ამხანაგ ჟდანოვის პატივსაცემად. გაისმის ინტერნაციონალის დიდებული ჰანგები.

სსრ კავშირის ფინსახკომში

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ადგილობრივ ფინორგანოებს მითითება მისცა 1940 წელს სავალდებულო საგანკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ. კანონის გამოყენების იმ წესში, რომელიც აქამდე მოქმედებდა, შეტანილია მთელი რიგი ცვლილებანი. მაგალითად, სადაზღვევო ორგანოები ახლა ვალდებულნი არიან ზარალი აანაზღაურონ არაუგვიანეს სამი დღისა იმ დროიდან, როდესაც დამტკიცებული იქნება აქტი დაზღვეული ქონების დაღუპვის ან დაზიანების შესახებ. აქამდე ამისათვის 10 დღის ვადა იყო დაწესებული. შემცირებულია აგრეთვე ზარალის შესახებ შედგენილი აქტების დამტკიცების ვადა.

იმ პირთა სია, რომლებიც ნაწილობრივ ან სავსებით თავისუფლდებიან სადაზღვევო შესატანის გადახდისაგან დაზღვევის ინსპექტორებმა უნდა შეადგინონ და შეუთანხმონ სოფლის საბჭოებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მიერ მიღებული კანონით იმ ქონების აღრიცხვა, რომლის დაზღვევა სავალდებულოა, წელიწადში ერთჯერ ხდება. სსრ კავშირის ფინსახკომმა განმარტა, რომ დაზღვეულად ითვლება ის ქონებაც, რომელიც მეურნეობამ აღრიცხვის ჩატარების შემდეგ შეიძინა.

(საქდესი).

ანგარიშსწორება მესამე ხუთწლედის სესხისათვის

საბჭოთა კავშირის ბევრ ოლქსა და რესპუბლიკაში ტარდება სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების საზოგადოებრივი შემოწმება. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასოფლო საბჭოებთან და კოლმეურნეობებში მუშაობს დაახლოებით 700 ათასი ასეთი კომისია. მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვება) ხელმოწერაზე ანგარიშსწორების ვადის მოახლოებასთან დაკავშირებით, ხელშემწყობმა კომისიებმა დაიწყეს ამ ანგარიშსწორების შემოწმება. ისინი საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტრებთან ერთად აზუსტებენ იმ ობლიგაციების რაოდენობასა და ღირებულებას, რომლებიც ხელმომწერლებმა უნდა მიიღონ, არკვევენ — მიიღეს თუ არა სამუშაოდ ახლადმიღებულებმა თავიანთი ობლიგაციები წინანდელი მუშაობის ადგილზე და სხვ.

მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება) ანგარიშსწორება 1 ივნისს თავდება. ხელმომწერლებს ობლიგაციები უნდა მიეცეს მაისის მეორე ნახევრის ხელფასთან ერთად.

ამერიკელი კორესპონდენტი ინგლისის ჯარის მდგომარეობის შესახებ ნორვეგიაში

ნიუ-იორკი, 26 აპრილი (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი სტოუ, რომელიც ნორვეგია-შვეციის საზღვარზე იმყოფება, სწერს, რომ ინგლისის ჯარები განადგურებულ იქნებიან, თუ უახლოეს ხანში არ მიიღეს მაშველი ძალები და საზენიტო ქვემეხები. ოთხი დღის ბრძოლების შემდეგ, —სწერს სტოუ,—თითქმის ნახევარი რაოდენობა ინგლისელი ჯარისკაცებისა, რომლებიც ამ ფრონტზე იმყოფებიან, მოკლულია, დაჭრილია ან წაყვანილია ტყვედ. 22 აპრილს გერმანელებმა დაამარცხეს ცუდად შეიარაღებული და ბრძოლაში გამოუცდელი ინგლისის ჯარები. ინგლისელებმა სავსებით უწესრიგოდ დაიხიეს ვისტიდან, რომელიც სამი მილის მანძილზე მდებარეობს სტეინკიერის სამხრეთით. გერმანელებმა სტეინკიერი 23 აპრილს დაიკავეს. სტოუ აცხადებს, რომ ინგლისის ჯარი რამდენიმე ხნით ადრე ნახა მანამდე, სანამ იგი უკან დაიხევდა. ინგლისისა და ნორვეგიის ოფიცრები სჩივოდნენ, რომ ისინი განსაკუთრებულად ცუდად არიან შეიარაღებული და ძალა არ შესწევთ წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანიის ქვეითს ჯარს, ავიაციასა და არტილერიას.

დაუდასტურებელი ცნობების თანახმად,—სწერს სტოუ,—ნორვეგიაში იგზავნება საფრანგეთისა და ინგლისის მაშველი ძალები, „რომელთაც შეუძლიანთ თავიდან აიცილონ კატასტროფა, რის წინაშეც სდგანან ინგლისის ჯარის მეწინავე ნაწილები“. მაგრამ სტოუ ამტკიცებს, რომ „ინგლისის შეცდომის გამო, რაც ძნელად ასახსნელია და ძვირადაც დაუჯდათ ინგლისელებს, გერმანელებმა ხელთ იგდეს უდიდესი ინიციატივა. ორი კვირის შემდეგ, რაც გერმანიის ჯარი შევიდა ნორვეგიაში, ამ ფრონტზე ინგლისელებს იმაზე უფრო ნაკლები ჯარი ჰყავთ, რაც გერმანელებმა 9 აპრილს თვითმფრინავებით ოსლოში გადმოსხეს რვა საათის განმავლობაში. ეს ფაქტები ცნობილი გახდა ინგლისელი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან. ყოველივე ამის შედეგად სერიოზულად შერყეულია ნორვეგიის არმიის ოფიცერთა შორის რწმენა ინგლისის არმიისა და ავიაციისადმი“.

გერმანიის პროპაგანდის სამინისტროში მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე

ბერლინი, 26 აპრილი (საქდესი). პროპაგანდის სამინისტროში მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე წაკითხულ იქნა სპეციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „ინგლისელები განაგრძობენ სისტემატურ საჰაერო თავდასხმას გერმანიის ტერიტორიაზე, დანიის მშვიდობიან ქალაქებსა და ნორვეგიის იმ ქალაქებზე, რომლებიც გერმანიის ჯარს უჭირავს“. ცნობაში აღნიშნულია, რომ „მალე დადგება დრო, როდესაც გერმანია ყუმბარაზე ყუმბარით უპასუხებს“.

ბელგიის მთავრობის გადადგომა

ბრიუსელი, 26 აპრილი (საქდესი). დღეს პრემიერმა პიერლომ მეფეს გადასცა განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ. კაბინეტმა გადადგომა გადასწყვიტა გუშინ საღამოს, იმის შემდეგ, რაც დეპუტატთა პალატაში კენჭი უყარეს განათლების სამინისტროს ბიუჯეტს; ამ კენჭისყრის დროს ლიბერალ დეპუტატთა უმრავლესობა, რომლებსაც პალატაში 29 მანდატი აქვთ, ბიუჯეტის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა.

პიერლოს კაბინეტში შედიოდნენ სამი პარტიის (კათოლიკეთა, ლიბერალთა და სოციალისტთა) წარმომადგენლები.

რუზველტმა გამოაცხადა, რომ გერმანიასა და ნორვეგიას შორის საომარი მდგომარეობაა

ნიუ-იორკი, 26 აპრილი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რუზველტმა გამოაცხადა, რომ გერმანიასა და ნორვეგიას შორის საომარი მდგომარეობაა, და ამასთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტის კანონი შეუფარდა ამ ქვეყნებს. ეს კანონი ითვალისწინებს, რომ მეომარმა ქვეყნებმა ნაღდი ფული უნდა გადაიხადონ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეძენილ საქონელში და რომ მათ არ შეუძლიათ ეს საქონელი ამერიკის გემებით გადაზიდონ. ამ კანონით მეომარი ქვეყნების წყალქვეშა ნავებს აკრძალული აქვთ ამერიკის ნავსადგურებსა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიულ წყლებში შესვლა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საექსპორტო-საიმპორტო ბანკის იურისტებმა განაცხადეს, რომ რუზველტის მიერ გერმანიასა და ნორვეგიას შორის საომარი მდგომარეობის გამოცხადება ავტომატურად აუქმებს ნორვეგიისათვის მიცემულ 10 მილიონ დოლარ სესხს.

თურქეთის პოლიციის უფროსის განცხადება

ბერლინი, 26 აპრილი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება: „ანკარიდან სტამბოლში ჩამოვიდა თურქეთის პოლიციის უფროსი. გაზეთ „ახშამის“ წარმომადგენლის შეკითხვაზე—მიჰბაძავს თუ არა თურქეთი იუგოსლავიისა და რუმინეთის მაგალითს უცხოელთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების მხრივ, მან უპასუხა: ამჟამად არ არსებობს მიზეზები ასეთი ზომების მისაღებად“.

გაზეთ „ტიურკიშე პოსტის“ აკრძალვის გაუქმება

ბერლინი, 26 აპრილი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტო ანკარიდან იუწყება, რომ თურქეთის ხელისუფლებამ გააუქმა გადაწყვეტილება სტამბოლის გაზეთ „ტიურკიშე პოსტის“ აკრძალვის შესახებ, რომელიც გერმანულ ენაზე გამოდის. გაზეთი 29 მარტს აკრძალეს. ამ გადაწყვეტილებას, — აღნიშნავს სააგენტო, — ისე ხსნიან როგორც თურქეთის სურვილს წინანდებურად შეინარჩუნოს თავისი ურთიერთობა გერმანიასთან.

კანონპროექტი თურქეთში სამხედრო წესების შემოღების შესახებ

ანკარა, 26 აპრილი (საქდესი). მთავრობამ მოამზადა კანონპროექტი სახელმწიფოში სამხედრო წესების შემოღების შესახებ. დაწესებულია პირობები, რომლის დროსაც სამხედრო წესები გამოცხადდება, და იმ პირთა რწმუნებანი, რომლებსაც უფლება აქვთ გამოაცხადონ სამხედრო წესები.

პროფ. ს. ნოვიკოვი

დიდი ბუნებისმეტყველი

28 აპრილს სრულდება 20 წელი, რაც გარდაიცვალა ჩვენი დიდი ბუნებისმეტყველი კლიმენტი არკადის-ძე ტიმირიაზევი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი-რევოლუციონერი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მოწინავე მეცნიერებისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლას.

ულრმესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა ამ შესანიშნავი ადამიანის — მოქალაქის, მებრძოლის ხსოვნას, რომელმაც თავისი სიცოცხლე და მოღვაწეობა დაუკავშირა ადამიანთა საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლას და რომელიც თავისი მრავალჯაფიანი სიცოცხლის ბოლოს ლენინის დიადი დროშის ქვეშ დადგა.

60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატიზმის ატმოსფეროში აღზრდილი და გამოწრთობილი, კ. ა. ტიმირიაზევი წარმოადგენდა ადამიანს, რომლის მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა აღსავსე იყო მხოლოდ მეცნიერული ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებით, მეცნიერებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლით.

ჯერ კიდევ 20 წლის ჭაბუკი, რომელიც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მგზნებარე ქადაგებათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ტიმირიაზევი ჩადგა „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ პატივისმცემელთა და მეგობართა რიგებში. რუსეთის ამ საზოგადოებრივი ტრიბუნიდან, რომელიც იმ დროს ერთადერთი იყო, მან დაიწყო ჩარლზ დარვინის გენიალური მოძღვრების პროპაგანდა.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ტიმირიაზევი მატერიალიზმის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძვლების პროპაგანდასა და დარვინიზმისათვის ბრძოლას უკავშირებდა თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის გაგებას. იგი იბრძოდა კასტური მეცნიერებისა და ხუცების წინააღმდეგ, რომელსაც ნერგავდა ცარიზმი. ცარიზმმა შეიძულა ტიმირიაზევი მისი მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო! ტიმირიაზევი ხომ დარვინის „ღვთის საწინააღმდეგო“ მოძღვრების პროპაგანდას ეწეოდა! თვითმპყრობელობამ რევოლუციონერ ტიმირიაზევს ისეთი დაბრკოლებები შეუქმნა, რომლებმაც აიძულეს იგი დაეტოვებინა უნივერსიტეტი და თავისუფალ მსმენელად დაემთავრებინა კურსი.

1868 წლიდან 1870 წლამდე კ. ა. ტიმირიაზევი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. იგი მუშაობდა სახელგანთქმულ მეცნიერებთან — კირხგოფთან, ბუნზენთან, ჰოფმეისტერთან, ჰელმჰოლტცთან, კლოდ ბერნართან, ბერტლოსთან, ბუსენგოსთან.

სამშობლოში რომ დაბრუნდა, იგი უმთავრესად მუშაობდა მცენარეთა ფიზიოლოგიის საკითხებზე და მცენარეთა ფიზიოლოგიასა და მიწათმოქმედებას შორის კავშირის დამყარებაზე.

კ. ა. ტიმირიაზევის მეცნიერული მუშაობა მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში მიმართული იყო იქითკენ, რომ გამოერკვია ყველაზე არსებითი პროცესი მცენარეთა ცხოვრებაში — მცენარის მიერ სინათლის შეთვისებისაკენ. ტიმირიაზევმა სამეცნიერო-ექსპერიმენტალურ ნაშრომთა უდიდეს რაოდენობაში შესძლო შეესწავლა მცენარის მიერ სინათლის შეთვისების ქიმიური და ფიზიკური პირობების მნიშვნელობა, გამოეკვლია მცენარის მიერ სინათლის შეთვისების პროცესის მონაწილე მზის სხივების შემადგენელი ნაწილები და გამოერკვია თანაფარდობა ამ სხივების მოქმედებასა და მათ მიერ თვით მცენარეში წარმოებულ მუშაობას შორის. დიდი ბუნებისმეტყველის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საუცხოოდ გაშუქებულია მის წიგნში „მზე, სიცოცხლე და ქლოროფილი“.

ევოლუციისა და დარვინიზმის საკითხებზე, აგრეთვე საზოგადოებრივ საკითხებზე დაწერილ ნაწარმოებებს თუ არ ჩავთვლით, ტიმირიაზევმა დასწერა 140-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი.

კ. ა. ტიმირიაზევი მთელმა ევროპამ აღიარა როგორც მსოფლიოში სახელგანთქმული გენიალური მკვლევარი ბუნებისა. კლიმენტი არკადის-ძე არჩეულ იქნა კემბრიჯის, გლაზგოს და ჟენევის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, ედინბურგისა და მანჩესტერის ბოტანიკურ საზოგადოებათა წევრად და, ბოლოს, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრად.

კ. ა. ტიმირიაზევის მეცნიერულ მოღვაწეობას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებისათვის. ტიმირიაზევის სახელთან დაკავშირებულია შემოღება რუსეთში მცენარეების ხელოვნურ კულტურებად გაზრდის ცდებისა, ნიადაგობრივი კვების საკითხების პირველ პლანზე წამოყენება და დამუშავება.

ტიმირიაზევმა ააშენა რუსეთში პირველი „სავეგეტაციო სახლი“. ტიმირიაზევსვე ეკუთვნის პირველი პროექტი საცდელი აგრონომიული სადგურების მოწყობისა. პეტროვსკოეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორად ყოფნის დროს (1871-დან 1892 წლამდე) ტიმირიაზევმა აღზარდა მთელი პლეადა რუსი აგრონომებისა, რომლებმაც მისგან მიიღეს ყოველივე საუკეთესო, რის მოცემაც კი შეეძლო მაშინ ევროპის მეცნიერებას. გასაგებია, თუ რატომ უწოდეს ტიმირიაზევს „რუსული აგრონომიის პატრიარქი“.

ტიმირიაზევმა მსოფლიოში გაითქვა სახელი აგრეთვე როგორც გენიალურმა პოპულარიზატორმა, რომელმაც თავისი საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ამოცანად დაისახა — ემსახურა მეცნიერებისათვის და ეწერა ხალხისათვის. მეცნიერების ქურუმებს, კასტურ მეცნიერებს, ცარიზმის დამქაშებს ტიმირიაზევმა აშკარად დაუპირდაპირა თავისი მოთხოვნა ემსახურა ხალხისათვის, ელაპარაკა ხალხის ენაზე და მიეცა ხალხისათვის ყოველივე რაც კი საუკეთესოა მეცნიერების საგანძურში.

ტიმირიაზევი, რომელსაც მეცნიერულობისა და მხატვრული გამომეტყველების მხრივ განსაკუთრებული ენა ჰქონდა, კითხულობდა ბრწყინვალე საჯარო ლექციების ციკლს, უწინარეს ყოვლისა შესანიშნავ „თანამედროვე ბუნებისმეტყველების არსებითს ამოცანებს“. ტიმირიაზევის განთქმული ლექციების კურსი „მცენარის ცხოვრება“ შევიდა მეცნიერებისა და პოპულარიზაციის ისტორიაში როგორც გენიალური ნიმუში ზუსტი მეცნიერულობის, უბრალოების, სიცხადისა და მისაწვდომად გადაცემის შეხამების ნიმუში.

მეფის რეჟიმის პირობებში განსაკუთრებით გაბედულად გაისმოდა ხმა კ. ა. ტიმირიაზევისა, რომელიც მოითხოვდა მეცნიერების თავისუფლებას, მეცნიერის უფლებას არა მარტო განევითარებინა მეცნიერება, არამედ კიდეც გაევრცელებინა იგი, გაეხადა იგი ხალხის კუთვნილებად.

ტიმირიაზევი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა ხალხს. იგი ემსახურებოდა მას თავის ჭაბუკობაშიც, როდესაც იგი ჩადგა „გაფიცული სტუდენტების“ რიგებში. იგი ემსახურებოდა ხალხს მაშინაც, როდესაც რუსეთის მთელი საზოგადოებრიობის თვალწინ ამათრახებდა პროგრესის დამხრჩობლებს, დაწყებული განათლების მინისტრ ვანოვსკით და გათავებული ყოველგვარი მეცნიერი „კოლეგებით“, რომლებიც ფეხქვეშ ევგბოდნენ ცარიზმს. იგი არ უყვარდათ მაშინდელ მეცნიერთა სამყაროში. სამაგიეროდ იგი უყვარდა რევოლუციურ სტუდენტობას, რომელსაც იგი არასოდეს არ ემიჯნებოდა. მთელ თავის ხანგრძლივ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ტიმირიაზევი უმორჩილებდა თავის რევოლუციურ სინიდისსა და თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებას.

არსად, არავის და არავითარ პირობებში იგი არ აძლევდა ამ სინიდისის ხელყოფის ნებას, მიუხედავად ცარიზმის მხრივ ყოველგვარი დევნისა.

1892 წელს ცარიზმმა ტიმირიაზევი განდევნა პეტროვსკოეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორთა რიცხვიდან, ხოლო კიდევ 6 წლის შემდეგ ტიმირიაზევი გამორიცხულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა შტატიდან. 1911 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის დარბევის დროს, მეფის მინისტრმა კასომ საბოლოოდ განდევნა ტიმირიაზევი მოსკოვის უნივერსიტეტიდან.

თვითმპყრობელობა ანგარიშს უსწორებდა ტიმირიაზევს არა მარტო იმისათვის, რომ იგი ეწეოდა მეცნიერებისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენელთა დემოკრატიული შეხედულებების პროპაგანდას: ტიმირიაზევს სდევნიდნენ უმთავრესად იმიტომ, რომ როგორც მეცნიერი-რევოლუციონერი იგი ყველგან, სადაც კი შეეძლო, ამხელდა პოლიციური რეჟიმის მხრივ საშინელ ჩაგვრას და მოუწოდებდა „კაცობრიობის ყველაზე ღარიბი, ჩაგრული ნაწილის“ სამსახურისა და დახმარებისაკენ.

ტიმირიაზევი იყო წარმომადგენელი სწორედ იმ მეცნიერებისა, რომლის მუშაკებს, როგორც ამბობდა ამხანაგი სტალინი, „ესმით რა მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციათა ძალა და მნიშვნელობა და ოსტატურად იყენებენ რა მათ მეცნიერების ინტერესებისათვის, მაინც არ სურთ იყვნენ ამ ტრადიციათა მონები, რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულებანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შექმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულებანი“.

1917 წლის ზაფხულში ტიმირიაზევმა დასწერა ცნობილი „მეცნიერის იგავი“ — „წითელი დროშა“, — სადაც მან მეცნიერ-რევოლუციონერის თანმიმდევრობით გამოხატა თავისი გაგება დემოკრატიის რაობისა: „აღსდექით, ხალხებო, და დაითვალეთ თქვენი მჩაგვრელები, ხოლო დათვლის შემდეგ გააგდებინეთ მათ ხელიდან თქვენთვის თავხედურად წართმეული თქვენი წმინდათა-წმინდა უფლებები: სიცოცხლის, შრომის, სინათლის უფლება და უწინარეს ყოვლისა **თავისუფლების** უფლება, და მაშინ ქვეყნად გამეფდება ჭეშმარიტება და გონიერება, ნაყოფიერი შრომა და მათ ნაყოფთა პატიოსანი გაცვლა-გამოცვლა“. აი რისკენ მოუწოდებდა მგზნებარედ ტიმირიაზევი ჩაგრულ ხალხებს.

მოხდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, და მოხუცი ტიმირიაზევი მთლიანად გადავიდა მუშათა კლასის მხარეზე.

მოსკოვ-კურსკის რკინიგზის სავაგონო სახელოსნოების მუშებმა კლიმენტი არკადის-ძე მოსკოვის საბჭოს წევრად აირჩიეს. თავისი არჩევის საპასუხოდ ტიმირიაზევი, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებით აღსავსე, სწერდა: „დაე აყვავდეს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც შექმნილია მუშათა და გლეხთა თავდადებული გმირობით და რომელიც ეს არის ახლა ჩვენს თვალწინ გადარჩენილია ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ!“.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მებრძოლმა მეცნიერმა სიყვარულის ნიშნად გაუგზავნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს თავისი შესანიშნავი კრებული „მეცნიერება და დემოკრატია“, და მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ტიმირიაზევს უპასუხა:

„ძვირფასო კლიმენტი არკადის-ძევ!

დიდად გმადლობთ თქვენი წიგნისა და კეთილი სიტყვებისათვის. მე პირდაპირ აღტაცებული ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი თქვენს შენიშვნებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ჯანმრთელობას და ჯანმრთელობას!

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)“.

სრულიად განსაკუთრებულია ტიმირიაზევის სიტყვები, რომლებიც მან სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ უთხრა ექიმ-კომუნისტს:

„მე ყოველთვის ვცდილობდი სამსახური გამეწია კაცობრიობისათვის და მოხარული ვარ, რომ ამ ჩემთვის სერიოზულ წუთებში გხედავთ თქვენ, იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელიც ნამდვილად ემსახურება კაცობრიობას. ბოლშევიკები, რომლებიც ლენინიზმის გამტარებლები არიან, — მე მწამს და დარწმუნებული ვარ — მუშაობენ ხალხის ბედნიერებისათვის და მიიყვანენ მას ბედნიერებამდე. მე ყოველთვის თქვენი ვიყავი და თქვენთან ვიყავი. გადაეცით ვლადიმერ ილიას-ძეს, რომ მე აღტაცებული ვარ მის მიერ მსოფლიო საკითხების გენიალურად გადაჭრით თეორიაში და პრაქტიკაში. მე ბედნიერებად ვთვლი, რომ ვარ მისი თანამედროვე და მისი სახელოვანი მოღვაწეობის მოწმე. მე ქედს ვიხრი მის წინაშე და მსურს, რომ ეს ყველამ იცოდეს. გადაეცით ყველა ამხანაგებს, რომ მე გულწრფელად მივესალმები მათ და ვუსურვებ შემდგომ წარმატებით მუშაობას კაცობრიობის ბედნიერებისათვის“.

ტიმირიაზევის ოცნება ახდა.

მცდელ-კოლმეურნეთა უდიდესი მასები, რომლებიც ეზიარნენ აგრონომიული ცოდნის საფუძვლებს, დარვინის, ტიმირიაზევის, მიჩურინის საუკეთესო მიმდევრებთან — აკადემიკოსებთან ლისენკოსთან, ციცინთან და სხვა მოწინავე მეცნიერებთან ერთად — წარმატებით იბრძვიან მსოფლიოში უმაგალითო მოსავლიანობისათვის.

დიდი რევოლუციონერის დემოკრატ ტიმირიაზევის შემოქმედებითმა ოპტიმიზმმა წინასწარმეტყველურად განჭვრიტა ის მიმართულება, რომლითაც სტალინურ ეპოქაში იწყო განვითარება მეცნიერებამ, რომელიც ხალხის კუთვნილება გახდა.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბაიჯანს!

აზერბაიჯანი—შავი ოქროს ქვეყანა

20 წელმა განვლო იმ ისტორიული დღის შემდეგ, რაც ბაქოს პროლეტარიატმა და აზერბაიჯანის გლეხობამ სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით დაამხეს ხანებისა და ბეგების მუსავატური ხელისუფლება და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამ დღიდან, 1920 წლის ისტორიული 28 აპრილიდან იწყება აზერბაიჯანის აღორძინებისა და აყვავების ისტორია. აზერბაიჯანი სამართლიანად ითვლება შავი ოქროს ქვეყნად, დიადი საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის ძირითად ბაზად, რადგან ნავთის მთელი წლიური მოპოვების 70 პროცენტი აზერბაიჯანზე მოდის.

აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობაში მთავარი და წამყვანი დარგია ნავთის მრეწველობა. ნავთი კი, როგორც ცნობილია, მიჩნეულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელების ერთერთ ძირითად ფაქტორად.

შესანიშნავი გზა განვლო აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობამ გასული 20 წლის მანძილზე. აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მიღწევები და გამარჯვებები, მთელი ისტორია შავი ოქროს ქვეყნის აღორძინებისა, მტკიცედაა დაკავშირებული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** სახელთან.

ხალხთა მამა დიდი **სტალინი** თავიდანვე განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ბაქოს მუშებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ამხანაგმა **სტალინმა** ბაქოს პროლეტარებს დაუსახა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის სწორი გზა.

ბაქოს ნავთის სარეწაოთა მუშები, აზერბაიჯანის მთელი მშრომელი მოსახლეობა თავდადებულად იბრძოდნენ დიდი **სტალინის** მითითებათა შესასრულებლად. ამ ბრძოლაში მათ ხელმძღვანელობდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, მათ ხელმძღვანელობდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ისეთი ერთგული შვილები, როგორიც იყვნენ ამხანაგები— **ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე.** ამხანაგ ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ბაქოელი ბოლშევიკები შეუდგნენ ძირითადი და გადამწყვეტი ამოცანის—აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის განვითარების სტალინური გეგმის შესრულებას.

ბაქოს ბოლშევიკების ბრძოლამ მალე გამოიღო ნაყოფი. 1931 წელს საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობამ უკვე მეორე ადგილი დაიკავა მთელ მსოფლიოში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

ნავთის შემცველ ქანობათა ძიების ფართოდ გაშლამ, ახალი ტექნიკური გაუმჯობესების შემოღებამ და ბრუნვითი ბურღვის დანერგვამ, აგრეთვე გეოლოგიურ კვლევა-ძიებათა ფართო მასშტაბით შემოღებამ შედეგად მოგვცა ერთის მხრით ნავთის შემცველ ახალ ფართობთა გამოვლინება და მეორე მხრით ქაბურღილთა დებეტის გახანგრძლივება. ამასთან ერთად შეუდგნენ ნავთის გადამამუშავებელი ძველი ქარხნების რეკონსტრუქციას და ახალი ქარხნების, ე. წ. კრეკინგ-ქარხნების მშენებლობას.

ყველა ამ გრანდიოზულ სამუშაოთა წარმატებით დამთავრების შედეგად 1939 წელს, 1913 წელთან შედარებით ნავთის მოპოვება გაიზარდა სამჯერ და უფრო მეტად, ხოლო გაზის მოპოვება გაიზარდა 22-ჯერ. გამოვლინებულია და ამჟამად დიდძალ „შავ ოქროს" აძლევენ ქვეყანას ნავთის შემცველი ისეთი ახალი რაიონები, როგორიცაა ყარა-ჩუხური, ნევთი-ჭალა, ყიზლ-თაფა, ჩონგარი და სხვ.

1924 წელს ამ ახალ ფართობებზე მოპოვებული ნავთის მთელი რაოდენობა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მთელი მოპოების 4,9 პროცენტს შეადგენდა. 1939 წელს კი ამ ახალი ფართობებიდან მიღებულ იქნა ნავთის მთელი მოპოების 51,1 პროცენტი.

აზერბაიჯანის მშრომელებს მუდამ ეხსომებათ ის დიდი ამაგი და ღვაწლი, რომელიც გასწიეს დაუვიწყარმა ამხანაგებმა ს. კიროვმა და ს. ორჯონიკიძემ, არა მარტო აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის აღორძინებისათვის, არამედ მთელი აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის აყვავებისათვის. მათი დახმარებით და ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ათასობით ახალი ადამიანები, ახლა უკვე მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილები ამხ. სუგრა გაიბოვა, პლეშკო, ვეზიროვა და სხვ. ათასობით სახელოვანი სტახანოველები, ჭაბურღილთა მეთაურები, ნავთის ოსტატები ჰყავს ახლა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მუშათა არმიას. ცოტა როდია მათ შორის აზერბაიჯანელ ქალთა რაოდენობა. 1923 წელს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობაში მუშა-ქალთა რაოდენობა 6,4 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის კი 21,2 პროცენტს შეადგენს.

გაშენდა და ბაღნარს დაემსგავსა ბაქოს მუშათა საცხოვრებელი უბნები. იქ, სადაც უწინ მიწური სახლები, საპატიმროს მსგავსი საერთო საცხოვრებლები და ტალახი იყო, სადაც მუშებს არაადამიანურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა და ცხოვრება, დღეს შესანიშნავი მრავალსართულიანი, სინათლიანი და კეთილმოწყობილი სახლებია ამართული, მუშათა თითქმის ყველა საცხოვრებელ რაიონშია კულტურის სასახლეები, საბავშვო ბაგები, სამშობიარო სახლები, საავადმყოფოები, სკოლები, ბაღები და სხვ.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობა შეუჩერებლივ მიდის წინ აღმავლობის გზით.

დიდი სტალინის თანამებრძოლებისა და უახლოესი მოწაფეების ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** და ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარის ამხანაგ **ლ. მ. კაგანოვიჩის** ყოველდღიური დახმარება, აგრეთვე აზერბაიჯანის ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ **მ. ჯ. ბაგიროვის** უშუალო ხელმძღვანელობა საწინდარია იმისა, რომ აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობა ღირსეულად და პირნათლად შეასრულებს იმ დიად ამოცანებს, რომლებსაც მას აკისრებენ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ინტერესები, ლენინ-სტალინის დიადი პარტია და პირადად ამხანაგი **სტალინი.**

მ. ევსეენკო.

სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აზნევტკომბინატის უფროსი.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, „ორჯონიკიძენეფტის" მესამე სარეწაოს უფროსი ინჟინერი **სუგრა გაიბოვა**

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კომიტეტის მდივანი ამხანაგი მ. ჯ. ბაგიროვი; შუაში — აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი თ. ყულიევი; აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი მ. ბ. კასუმოვი.

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი, რეაქციის მძიმე წლებში ლენინური პარტიის ურყევი ციხე-სიმაგრე იყო. დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამებრძოლის ამხანაგ სტალინის მიერ დანერგილმა სახელოვანმა ბოლშევიკურმა ტრადიციებმა ბაქოს პროლეტარიატი ჩააყენეს რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიზმთან, როგორც მუშათა მოძრაობაში მთავარ მტერთან. ამხანაგი სტალინი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ისტორიის ყველა ეტაპზე ლენინურად აცამტვერებდა და ანადგურებდა „ლეგალურ მარქსისტებს", ეკონომისტებსა და მენშევიკ-ლიკვიდატორებს. შავბნელი რეაქციის ეპოქაში, ისე როგორც რევოლუციური აღმავლობის წლებში, გააფთრებულ ბრძოლაში მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, იგი ქმნიდა და რაზმავდა ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციებს.

ბაქოში თავისი მუშაობის დროს, რეაქციის პერიოდში, ამხანაგმა სტალინმა ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ გადააქცია.

ლ. პ. ბერია

მეცნიერება საბჭოთა აზერბაიჯანში

აზერბაიჯანი ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე, უფრო სწორად, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კულტურულად ჩამორჩენილ, პატრიარქალურ-ფეოდალურ კუთხედ იყო ცნობილი. რევოლუციამდე აზერბაიჯანში არ იყო არცერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ აზერბაიჯანელი მეცნიერებიც.

განვლილი ისტორიული 20 წლის მანძილზე, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა აზერბაიჯანი უკვე გახდა მოწინავე ქვეყნად, იგი უკვე ჩადგა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკათა წყებაში, გახდა სოციალიზმის ციხე-სიმაგრედ აღმოსავლეთისაკენ.

გარდა მრავალი უმაღლესი სასწავლებლისა, ახლა საბჭოთა აზერბაიჯანში 64 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საცდელი სადგური და სხვა სამეცნიერო დაწესებულებაა. აზერბაიჯანის მეცნიერული აზრის ცენტრია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალი, რომელიც 7 ინსტიტუტს, 5 სექტორს და 4 მუზეუმს აერთიანებს. აკადემიის ფილიალში ამჟამად 452 მეცნიერი-მუშაკი მუშაობს, მათ შორის ნახევარზე მეტი აზერბაიჯანელები არიან. ფილიალთან მოწყობილია ასპირანტურა, სადაც 297 კაცი სწავლობს. დიდ უმეტესობას აქაც აზერბაიჯანელები შეადგენენ.

აზერბაიჯანის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შორის მრავლად არიან ისეთები, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავიანთი ახალი მაღალხარისხოვანი მეცნიერული ნაშრომებით. ერთერთი ასეთი მეცნიერთაგანია, მაგალითად, ჰაიდარ ჰუსეინოვი, ფილოსოფიის დარგში მომუშავე, რომელმაც დასწერა შესანიშნავი ნაშრომი „მირზა ფატალი ახუნდოვის ფილოსოფიური შეხედულებანი". მეორე ახალგაზრდა მეცნიერმა არუზია ალიბეკოვამ დასწერა წიგნი „ქალთა შრომა საბჭოთა აზერბაიჯანში". სახელმოხვეჭილ ახალგაზრდა მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე ე. ტოკარჟევსკი, მ. ყაზიევი, ა. ეიგენსონი, ზაგიდ-ალი-ზადე და სხვ.

დიდძალი მასალებია დაგროვილი, მრავალი წიგნია დაწერილი აზერბაიჯანის მეცნიერ-მუშაკთა მიერ აზერბაიჯანის ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ეთნოგრაფიაზე. შედგენილი, გამოცემული და უკვე ხმარებაშია შემოღებული აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, რომელიც დაამუშავა მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის მეცნიერ-მუშაკთა ერთმა ჯგუფმა.

მრავალი ნაშრომია დაწერილი და გამოქვეყნებული, კიდევ მეტი მზადაა გამოსაქვეყნებლად აზერბაიჯანის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელიც ატარებს აზერბაიჯანის ხალხის საუკეთესო შვილის—ნიზამის სახელს, გამოსაცემად ამზადებს ნაწარმოებს აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა მონოგრაფიებს იმ ეპოქის დასახასიათებლად, როცა ცხოვრობდა ნიზამი, რომლის დაბადების 800 წლისთავს საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ 1941 წელს. აზერბაიჯანის ლიტერატურის კლასიკოსების — ფიზულის, ვაგიფის, მ. ფ. ახუნდოვის, ალეკპერ საბირის, ჯაფარ ჯაფარლის და სხვათა ნაწარმოებების დიდი ნაწილი უკვე გამოცემულია და ნაწილიც ახლა მზადდება გამოსაცემად.

აზერბაიჯანულ ენაზე მოიპოვება მარქსიზმის კლასიკოსთა თითქმის ყველა ძირითადი ნაშრომები. მარქსს, ენგელსს, ლენინს და სტალინს აზერბაიჯანელი მშრომელები ახლა თავის საკუთარ მშობლიურ ენაზე კითხულობენ.

აყვავებისა და აღორძინების მტკიცე გზაზეა დამდგარი მეცნიერება საბჭოთა აზერბაიჯანში.

ა. იაკუბოვი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

მეორე წყალსადენი ბაქოში

მესამე სტალინური ხუთწლედის ბოლომდე ქალაქ ბაქოს შეემატება რიცხვით მეორე საქალაქო წყალსადენი-გიგანტი, რომელიც ქალაქის მოსახლეობას და ნავთის სარეწაოებს დღეღამეში 19 მილიონ ვედრო წყალს მიაწოდებს.

ამჟამად არსებული წყალსადენი ქალაქს დღეღამეში აწოდებს 8 მილიონზე მეტ ვედრო წყალს.

ახალი წყალსადენის გასაყვანად საჭირო წინასწარი მუშაობა დამთავრებულია. ამ წყალსადენით ქალაქი მიიღებს საუკეთესო ხარისხის სასმელ წყალს. ძველი წყალსადენის წყალი გათვალისწინებულია უმთავრესად სამრეწველო დანიშნულებათათვის.



ამხანაგი სტალინი ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშების მიტინგზე (1908 წ.)

მხატვ. ვ. სიდამონ-ერისთავის ნახატი.

ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის ბრწყინვალე გამარჯვება

ამხანაგ სტალინის სახელობის სამურ-დივიჩის არხის გახსნის გამო

აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის XX წლისთავს აზერბაიჯანის მშრომელები აღნიშნავენ კიდევ ერთი ახალი და დიდი, ისტორიული გამარჯვებით — ამხანაგ **სტალინის** სახელობის სამურ-დივიჩის არხის გახსნით.

დღეიდან, 1940 წლის 28 აპრილიდან მდ. სამურ-ჩაის კალაპოტს გადაღობავს რკინა-ცემენტის კაშხალი. მდინარის წყალი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში უსარგებლოდ იღვრებოდა კასპიის ზღვაში, მორწყავს თვალუწვდენ ველს, სადაც დღემდე ბალახიც ვერ ხარობდა უწყლობის გამო.

სამურ-დივიჩის არხმა, რომლის სიგრძე 107 კილომეტრს აღწევს, უნდა მორწყას 30.000 ჰექტარი ფართობი, სადაც აზერბაიჯანელი კოლმეურნეები დასთესენ ბამბას და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რათა გაადიდონ საკოლმეურნეო დოვლათი და მიიღონ უხვი მოსავალი.

სამურ-დივიჩის არხის გათხრის იდეა ხალხის მასაში წარმოიშვა. ფერგანის დიდი არხის გათხრით წათამამებულმა, აზერბაიჯანელმა კოლმეურნეებმა აღძრეს საკითხი, რომ მათთვის ნება დაერთოთ ამ არხის გათხრაზე. მთავრობამ ნება დართო და დაიწყო მასობრივი მზადება ამ დიდი სამუშაოს შესასრულებლად. ყუსარის, ხაჩმასის, ყუბის, ყონახკენდის, დივიჩის და ხიზინის რაიონების მშრომელებმა ერთხმად გამოსთქვეს მზადყოფნა სამუშაოზე კოლექტიურად გამოსვლისათვის.

ტექნიკოსები და სპეციალისტები სასწრაფო წესით შეუდგნენ პროექტების დამუშავებას, მომავალი არხის ტრასის აღნიშვნას.

30.000 კოლმეურნე მუშაობდა აღნიშნული არხის გაყვანაზე. 1939 წლის ოქტომბრის ბოლო დღეებში შეუდგნენ მიწის სამუშაოებს და 75 დღეში უნდა გაეთხარათ მთელი არხი 107 კილომეტრზე. მაგრამ შრომითი ენტუზიაზმის ახალმა აზვირთებამ, სოციალისტური შრომის მეთოდების ფართოდ გამოყენებამ და მასების შემოქმედებითი ინიციატივის სწორმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შედეგად მოგვცა ის, რომ არხი, ნაცვლად 75 დღისა, გათხრილ იქნა 50 დღეში. და ისიც ზამთარში, როცა მიწის სამუშაოებისათვის მეტად ცუდი პირობებია.

ამჟამად არხი სავსებით მზადაა. უკვე დამთავრებულია საინჟინერო ნაგებობათა აგება (ხიდები, დიუკერები, სათავის ნაგებობები და სხვ.) და დღეს მდინარე სამურ-ჩაის ტალღები პირველად გასწევენ ახალი არხით 30.000 ჰექტარი მწირი მიწის გასანოყიერებლად.

სამურ-დივიჩის არხის მშენებელკოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალრიცხოვანი კრებების თხოვნით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ არხს მიაკუთვნა ხალხთა ბელადის და სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის — დიდი **სტალინის** სახელი.

ახალი მიღწევები აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში

საბჭოთა აზერბაიჯანი ბუნებრივ სიმდიდრეთა ქვეყანაა. აზერბაიჯანის მიწის წიაღი შეიცავს ნავთის, რკინის, იშვიათი ლითონების აურაცხელ მარაგს. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობა განთქმულია ბამბის თვალუწვდენი პლანტაციებით, საძოვრებით და, უკანასკნელ ხანებში, ციტრუსებითაც. ახლა საბჭოთა აზერბაიჯანი ციტრუსოვანთა მეორე ბაზად ითვლება საქართველოს შემდეგ.

1939 წელს საბჭოთა აზერბაიჯანის სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტუალური პრობლემების შესასწავლად და გადასაჭრელად. შესწავლილი და დადებითად გადაწყვეტილია აზერბაიჯანში ევკალიპტების კულტურის გავრცელების საკითხი. გამოვლინებულია სამი რაიონი (ზაქათალისა, ლენქორანისა და ბაქოსი), სადაც მიმდინარეობს ევკალიპტების გაშენება.

საძოვრების საკითხი აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობის ერთერთი ყველაზე სერიოზული საკითხთაგანია. აზერბაიჯანის ბოტანიკის ინსტიტუტმა გამოიმუშავა საძოვრების გამოყენების სრულიად ახალი მეთოდი, რომელიც უზრუნველჰყოფს საძოვრების დაცვა-შენარჩუნებას და მათს რაციონალურ ექსპლოატაციას.

ახლა ბოტანიკისა და მებამბეობის ინსტიტუტები ამთავრებენ კომპლექსურ შრომას ბამბის ნათესების მინერალური კვების საკითხზე. ამ მხრივ დაწყებული და ფართოდ გაშლილი მეცნიერული კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგად დადასტურებულია, რომ ბამბის გაყვავილების სხვადასხვა ფაზებში ნიადაგში აზოტის განსაზღვრული რაოდენობით შეტანა შესანიშნავ ეფექტს იძლევა და ერთი ორად ზრდის ბამბის მოსავალს. მიღებულია ღონისძიებები იმისათვის, რომ ეს მიღწევა შემოღებულ იქნას პრაქტიკაში საბჭოთა კავშირის მებამბეობის ყველა რაიონში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აზერბაიჯანში სუბტროპიკული კულტურებისათვის ახალი ფართობის გამოსავლინებლად. აზერბაიჯანის ბოტანიკური ინსტიტუტი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის ნიადაგმცოდნეობის სექტორი შეუდგნენ კოლექტიურად მუშაობას ჩაისა, მანდარინისა და ლიმონის კულტურებისათვის ვარგისი ფართობების შესასწავლად. ამჟამად აზერბაიჯანში გამოვლინებულია 10.000 ჰექტარი ფართობი (ალაზან-ავტარანის ველზე), სადაც თამამად შეიძლება ჩაის პლანტაციების და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენება.

დიდი მუშაობა ჩაატარა აზერბაიჯანის ზოოლოგიურმა ინსტიტუტმა ბამბის ნათესების გამანადგურებლის, ე. წ. ბამბის ხვატარის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამონახულია სრულიად ახალი მეთოდი და საშუალება ბამბის ხვატარის სალიკვიდაციოდ, რაც აგრეთვე ერთერთი მთავარი ღონისძიებათაგანია ბამბის მოსავლიანობის გასადიდებლად.

მეთევზეობას საბჭოთა აზერბაიჯანში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. არსებობს მეთევზეობის მრავალი კოლმეურნეობა, რომლებიც თავის სამუშაო ბაზად იყენებენ მდ. მტკვარს. ახლა, მინგეჩაურის ჰიდროელსადგურის მშენებლობის გამო წამოიჭრა ახალი პრობლემა მდ. მტკვარში თევზების მარაგის შენარჩუნების შესახებ. საქმე ისაა, რომ მტკვარში თევზი შემოდის კასპიის ზღვიდან და მინგეჩაურის ჰიდროსადგურის აშენების შემდეგ მტკვარში თევზის შემოსასვლელი გზა თითქოს დაკეტილი იქნება. ეს საქმე ახლა უკვე დამთავრებულია. გამომუშავებულია თევზების დაცვის მეთოდები, რაც სავსებით უზრუნველყოფს მეთევზეობის განვითარებას ამ რაიონში.

დ. ამირანიძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბამბის სტახანოველი, ორდენოსანი **ბახტი ბაგიროვა**

ახალი ბაქო

ხალხში ასეთი გადმოცემა დარჩა: ირანელი დამპყრობლები, როგორც კი მოადგებოდნენ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს იმ უბეს, სადაც ზღვა არასოდეს იყინება, პირველ რიგში იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ ჯარი მაშინ გადმოესხათ სანაპიროზე, როცა ქარი არ ჰქროდა, საშინელი ქარი იცოდა აქ. დიდხანს მძვინვარებდა იგი, ქვიშისა და მტვრის კორიანტელს აყენებდა და გასაქანს არ აძლევდა დამპყრობლებს. ნაპირის მოახლოებისთანავე ირანელ სპასალართა პირველი კითხვა სწორედ ამ საკითხს ეხებოდა და მათ მონა-შიკრიკთა ერთი და იგივე პასუხი ესმოდათ:

— ბაადი ქიუ-ბა!

ქარი ჰქრისო და ამ ადგილს ირანელებმა ფარსული სახელი „ბაადი-ქიუ", ანუ ქარის ადგილი უწოდეს.

მისი თანამოძმის—თბილისის მსგავსად, აზერბაიჯანის ჭაღარა დედაქალაქს მრავალი ჭირვარამი განუცდია თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში იმ ადგილს, სადაც შემდგომ ქალაქი გაშენდა, არაბები დაეპატრონენ. შირვანელი ხანებიც მეფობდნენ აზერბაიჯანის მშრომელებზე, თურქი დამპყრობლებიც ყოფილან იქ, ირანელთა ურდოებსაც გადაუთელავთ აზერბაიჯანელთა მიწაწყალი, ხოლო ბოლოს, 1806 წლიდან, აზერბაიჯანსა და მის დედაქალაქში მეფის რუსეთის ჟანდარმულმა ხელისუფლებამ მოიკიდა ხანგრძლივად ფეხი.

ირანელებისა და არაბების შემოსევის შედეგად ბაქოში ცეცხლთაყვანისმცემლებმა დაისადგურეს და ისტორიულ „ძეგლად" ფირვანზარას სალოცავი დასტოვეს. შირვანელმა ხანებმა აზერბაიჯანელ მშრომელთა ოფლითა და ცრემლით აგეს დიდი ციხე-სიმაგრე ყზი-კალა (ქართულად-ბანოვანთა კოშკი), ხოლო მეფის რუსეთის ბარბაროსული ხელისუფლების ბატონობის შედეგად ბაქოში დარჩა ქუჩაბანდთა ლაბირინტი, როტშილდებისა და ტაგიევების პრიმიტიული სარეწაოები, მიწური სახლები, ქოხმახები და სატუსაღოები.

ბევრი შავი დღე უნახავს ბაქოს, მაგრამ ბევრი გმირული ბრძოლის ფურცელიცაა ჩაწერილი მისი ისტორიის ანალებში. ბაქოში ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი **სტალინი.** აქ რაზმავდა იგი პროლეტარების მებრძოლ რაზმებს მეფის თვითმპყრობელობისა და ნობელების, ვიშაუების, როტშილდების და სხვა კაპიტალისტების ბატონობის დასამხობად. აქ განსაკუთრებული სიძლიერით მკვიდრდებოდა **ლენინისა და სტალინის** იდეა, აქ გრგვინავდა ბოლშევიკების რევოლუციური სიტყვა მდიდართა სასახლეების შესაძრწუნებლად და ქოხმახების მობინადრეთა საიმედოდ. ბაქოში მუშაობდნენ დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლები—ლადო კეცხოველი, ალ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, აზიზბეკოვი. აქვე იყვნენ და განაგრძობდნენ სტალინის მიერ დანერგილი რევოლუციური ტრადიციებით ბრძოლას ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, ვანო სტურუა და სხვ.

ბაქოს 26 სახელოვანი კომისრის გმირული სიკვდილი დარჩება ისტორიაში, როგორც უმაგალითო თავდადების ნიმუში მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მთელი მშრომელი მოსახლეობის ინტერესებისათვის.

არსად და არასოდეს იმდენი მხეცობა არ ჩაუდენიათ საშუალო საუკუნეთა ინკვიზიტორებსაც კი, რამდენიც ბაქოში ჩაიდინეს თავის ხანმოკლე პარპაშის დროს ინგლისელმა ინტერვენტებმა და მათმა ლაქიებმა—მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა.

1920 წლის 28 აპრილს, სწორედ ამ 20 წლის წინათ, ბაქოს აჯანყებულმა პროლეტარიატმა და აზერბაიჯანის მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული შვილების ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვისა და ა. მიქოიანის მეთაურობით დაამხეს მუსავატური ხელისუფლება და ოქტომბრის დიდი რევოლუციის წითელი დროშაააფრიალეს.

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო. ძირფესვიანათ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში აზერბაიჯანის დედაქალაქის—ბაქოს სახე. აყვავდა და აღორძინდა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობა, მთელი სახალხო მეურნეობა. გაიზარდა, გაფართოვდა და გაშენდა ახალი სოციალისტური ბაქო. ვისაც ბაქო დიდიხანია არ უნახავს, ახლა განცვიფრებული დარჩება მისი ნახვით. აღარაა ძველი ბაქო აღმოსავლური ყავახანებით, მინარეთებით, ბნელი ქუჩაბანდებით, საეჭვო დანიშნულების ჯურღმულებით და ძველებური „კონკით". ძველი ბაქოს ადგილას გადაჭიმულია დიდი სოციალისტური ქალაქი ფართო პროსპექტებით, ბაღებით და ყვავილნარებით, შესანიშნავი სანაპირო პარკით, მრავალსართულიანი სახლებით, კულტურის სასახლეებით, თეატრებით, მუშათა საცხოვრებელი კომბინატებით, ტრამვაითა და ელექტრონის რკინიგზით.

ნავთის ამოღების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბაქოს მრეწველობა, ათეული ახალი ნავთის სარეწაო რაიონი შეემატა ბაქოს. მრავალი ახალი ქარხანა და ფაბრიკა მუშაობს ახლა ამ ქალაქში. მანქანათმშენებელი ახალი ქარხნები, სატრიკოტაჟო კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკები, ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით გამართული გიგანტი კრეკინგ-ქარხნები, უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის ელფერს აძლევენ საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქს.

ძველი და ახალი ბაქოს შესადარებლად საკმაო იქნება რამდენიმე ციფრის დასახელება: 1913 წელს ბაქოში ცხოვრობდა 230.000-მდე კაცი. ახლა კი ქალაქის მოსახლეობა 800.000 სჭარბობს. რევოლუციამდე ბაქოში სასმელ წყალს ფუფუნების საგნების ფასი ჰქონდა. მშრომელები მოკლებულნი იყვნენ კარგი წყლის სმის საშუალებას, ხოლო მდიდართათვის წყალი გემებით მოჰქონდათ შორეული ადგილებიდან. ახლა ბაქოში შესანიშნავი წყალსადენია და თვითეულ მშრომელზე დღეღამეში 108,4 ლიტრი წყალი მოდის.

ბაქოში ტრამვაის ქსელის საერთო სიგრძე 73 კილომეტრს უდრის, საგარეუბნო ელექტრო-რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძე კი—63 კილომეტრს. რევოლუციამდელ ბაქოში მწვანე ნარგავთა ფართობი მხოლოდ 9 ნახევარ ჰექტარს შეადგენდა, ამჟამად კი ბაქოში ბაღები და პარკები გაშენებულია 363 ჰექტარზე. მაშინ ბაქოში კანალიზაცია არ იყო, ახლა საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე 200 კილომეტრს უდრის.

ნავთის ჭაბურღილებიდან მიღებული გაზის გამოყენებაზე რევოლუციამდელ ბაქოში წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ახლა გაზის გამნაწილებელი ქსელით დაფარულია მთელი ქალაქი. გაზს იყენებენ არა მარტო სამრეწველო დანიშნულებათათვის, არამედ ყოფაცხოვრებაშიაც.

კიდევ რამდენიმე ციფრი სოციალისტური ბაქოს დასახასიათებლად: განვლილი 20 წლის მანძილზე ბაქოში აგებულია 1 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გახსნილია 210 საშუალო და დაწყებითი სკოლა (1913 წელს 47 სკოლა იყო მთელ ბაქოში), 11 უმაღლესი სასწავლებელი, 46 ტექნიკუმი და მუშფაკი, 11 თეატრი, 57 კინოთეატრი, 167 ბიბლიოთეკა, 26 მუშათა კლუბი, კულტურის სასახლე და მუზეუმი, 87 საავადმყოფო და ამბულატორია, 101 საბავშვო ბაგა, 19 დედათა და ბავშვთა კონსულტაცია და ა. შ.

1913 წელს ბაქოში მუშაობდა 251 მასწავლებელი და 48 ექიმი. ახლა კი მუშაობს 5.624 მასწავლებელი და 1997 ექიმი.

ბაქოს ზრდის, მისი განვითარების საუკეთესო მაჩვენებელია ქალაქის ბიუჯეტი. 1928 წელს ბაქოს ქალაქის ბიუჯეტი შეადგენდა 39.900.000 მანეთს. გასულ 1939 წელს კი ქალაქის ბიუჯეტი 254.400.000 მანეთს უდრიდა.

ჩვენს თვალწინ აშენდა და აღორძინდა სოციალისტური ქალაქი ბაქო. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე...

ფირვანზარას მაღლობიდან შავი ოქროს დედაქალაქს ახლა ზევიდან გადმოჰყურებს ამხანაგი კიროვის გრანდიოზული მონუმენტი. კასპიის ზღვის ჰორიზონტიდან ამოსული მზე პირველად ამ მონუმენტს მიაფენს თავის სხივებს. წითლად ელვარებს მაშინ წითელი მარმარილოს მონუმენტი და სერგეი მირონიჩის შორს გაშვერილი ხელი თითქოს აფრთხილებს დიადი და უძლეველი საბჭოეთის ყველა მტერსა და ორგულს:

— ხელები შორს საბჭოთა მიწა-წყლიდან! ბაქო ჩვენია, იგი მიუდგომელი ციხე-სიმაგრეა ყოველგვარი ჯურის იმპერიალისტებისათვის. აქ ლენინ-სტალინის დროშა ფრიალებს, დროშა განბანილი რევოლუციისათვის თავდადებულ თაობათა სისხლით.

— შეხედეთ, რა თვალუწვდენი და უძლეველია სოციალიზმის დიადი ქვეყანა!

დ. ლომთაძე

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 25 აპრილი (საქდესი). საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, ონდალსნეს-დომბოსის, კიერკინ-დომბოსის და ალვდალ-ატნის ხაზებზე სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია. გერმანიის ავიაციამ რამდენიმე ადგილას დააზიანა რკინიგზები. დანგრეულია მთავარი ვაგზლები. გერმანიის ჯარმა იერიში მიიტანა მტრის კოლონებზე, რომლებმაც დიდი ზარალი ნახეს. ბერგენის რაიონში დანგრეულია რკინიგზის ხაზი. საჰაერო ბომბარდირების შედეგად დაზიანდა ინგლისის 2 ტრანსპორტი და ჩაიძირა ტრალერი. ინგლისის ერთერთი საესკადრო ნაღმოსანი ყუმბარების მოხვედრის შედეგად ცეცხლის ალში გაეხვია. შუა ნორვეგიაში ლესიასკოგის რაიონში მოსპობილია ნორვეგიის 5 ავიაგამანადგურებელი ინგლისური მარკისა, რომლებიც აეროდრომზე იმყოფებოდნენ. დომბოსის რაიონში გერმანიის ჯარმა გაჰფანტა ნორვეგიის ჯარის ნაწილები.

ბერლინი, 26 აპრილი (საქდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შემდეგ ცნობას ნორვეგიაში წარმოებული სამხედრო მოქმედების შესახებ: „გუშინ გერმანიის ჯარმა გააფართოვა მის მიერ დაკავებული ნორვეგიის ტერიტორია. ტრონჰეიმის გასასვლელი გერმანიის ჯარს უჭირავს. რამდენადაც ტრონჰეიმის რაიონში განლაგებულმა გერმანიის ჯარმა დიდი მაშველი ძალები მიიღო ჯარისა და მასალების სახით, ხოლო გერმანიის პოზიციები ახლა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება, უნაყოფოა მტრის ყოველგვარი ცდა—წაიწიოს ნორვეგიის სამხრეთ ნაწილისაკენ. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა—რა ამოცანა უნდა შეასრულოს მტრის იმ დესანტმა, რომელიც ტრონჰეიმის ჩრდილოეთით იყო გადმოსხმული.

საკმარისია გადავხედოთ რუკას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ პუნქტიდან შეუძლებელია სვლა ჩრდილოეთისაკენ, ნარვიკის მიმართულებით. გერმანიის ჯარის მოწინავე ნაწილებმა, რომლებიც ოსლოდან ჩრდილოეთის მიმართულებით და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მიიწევენ, ზოგიერთ ადგილას აიძულეს მტერი ჩაბმულიყო ბრძოლაში. ამ რაიონის ტოპოგრაფიული პირობები განსაკუთრებით ძნელია.

გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის მოტორიზებულ კოლონებს. გერმანიის თვითმფრინავების გამოჩენისთანავე მტერი გაიქცა და ტყეში დაიმალა. მტრის ჯარის მიმოსვლის საშუალებანი განადგურებული იქნა ყუმბარებით, ხოლო შემდგომი მათი წინსვლა შეჩერებულია. გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს მტერმა თვითმფრინავებს საზენიტო არტილერია დაუშინა. ონდალსნესის მახლობლად მძიმედ დაზიანდა გერმანიის ერთი თვითმფრინავი; მიუხედავად ამისა, თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა ბაზაში. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის აეროდრომს და გაანადგურეს 11 თვითმფრინავი. გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე მტრის ტრანსპორტებს, როცა ისინი ონდალსნეს-ფიორდში შედიოდნენ. ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ ყუმბარები დაუშინეს ოსლოს".

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 26 აპრილი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისისა და ნორვეგიის ჯარები ნელ-ნელა ერტყმიან გარს ნარვიკს.

ტრონჰეიმთან გამართულ ფრონტზე ნამსოსის სამხრეთით 50 კილომეტრის მანძილზე გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს.

ზოგიერთი ცნობებით, გერმანიის ჯარმა მიაღწია კოპანგს, რომელიც ოსლოს ჩრდილოეთით მდებარეობს 190 კილომეტრის მანძილზე, და წინ მიიწევს. შვედური გაზეთების ცნობებით, გერმანიის ჯარი წინ ჰგზავნის ერთ ან ორ მოტოციკლისტს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ნორვეგიელები ტყვიას უშენენ. ამგვარად, ისინი ახერხებენ ჩასაფრებული ნორვეგიელების აღმოჩენას, რის შემდეგ გერმანიის ჯარი ფლანგებიდან შემოუვლის ხოლმე ნორვეგიელთა მიერ გზებზე მოწყობილ სატყვიამფრქვევო ბუდეებს.

შვეციის გაზეთი „აფტონბლადეტი" გადმოგვცემს, რომ გუშინღამ ტრონჰეიმის რაიონში ძლიერი ბრძოლა გრძელდებოდა ინგლისის ავანგარდებსა და გერმანიის ჯარს შორის. გერმანელთა მოქმედებას დახმარებას უწევენ ტრონჰეიმის ფიორდის სიღრმეში შეჭრილი კრეისერისა და ორი საესკადრო ნაღმოსნის ქვემეხები.

რეიტერის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გუშინ საღამოს გერმანიის ჯარმა დაიკავა რეროსი, რომელიც ტრონჰეიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 100 კილომეტრის მანძილზე; ეს ჯარი სტერენის რკინიგზის კვანძისაკენ მიიწევს.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ტრონჰეიმის სამხრეთით მდებარე რაიონში ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა მტრის მიძალების გამო დასტოვეს პოზიციები, რომლებიც მათ წინათ ლილეჰამერის მახლობლად ეკავათ.

ლონდონი, 26 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

ნამსოსის რაიონში განლაგებული ინგლისის ძალთა რაზმი, რომელმაც ტრონჰეიმის მიმართულებით წაიწია, მალე იძულებული გახდა უკან დაეხია. ამ რაიონში მოსულმა გერმანიის დამხმარე ძალებმა მას იმის საფრთხე შეუქმნეს, რომ შესაძლებელი იყო ეს რაზმი ძირითად ძალებს მოეწყვიტათ. ინგლისის ჯარი რამდენადმე დაზარალდა.

24 აპრილს გერმანიის ჯარის ნაწილებმა იერიში მიიტანეს ნორვეგიელთა პოზიციებზე გუდბრანდსდალენის ხეობის სამხრეთ ნაწილში. ნორვეგიის ჯარმა წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე დაიხია. გერმანიის ავიაცია განაგრძობდა ნორვეგიის ჯარის კომუნიკაციების ბომბარდირებას. ჩამოგდებულ იქნა გერმანიის სამი თვითმფრინავი, ხოლო ერთი თვითმფრინავი იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო.

ინგლის-საფრანგეთის ჯარის შეტევა ტრონჰეიმისაკენ სტეინკიერის გზით შენელდა.

ნარვიკის ჩრდილოეთით გრძელდება შეტაკება გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარების მცირე რაზმებს შორის.

ცენტრალურ ნორვეგიაში გერმანიის ჯარი, რომელიც ოსლოს ჩრდილოეთით მოქმედებს, შეტევას განაგრძობს.

ლონდონი, 25 აპრილი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ნორვეგიაში მყოფ ინგლისის არმიას ამიერიდან ოფიციალურად ეწოდება „ჩრდილოეთ-დასავლეთის საექსპედიციო არმია".

შვეციის ცნობები

სტოკჰოლმი, 26 აპრილი (საქდესი). გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი", იუწყება რა გერმანელთა მიერ ქალაქ რეროსის დაკავების შესახებ, სწერს, რომ ამის შედეგად შვეციის სანაპირო ხაზი ამ უბანზე გერმანელთა ხელში გადავიდა.

„გერმანელთა წინსვლა გლომის ხეობაში,—სწერს გაზეთი,—ფრონტის ამ უბანზე ნორვეგიის ჯარის სრულ დამარცხებას ნიშნავს".

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა გუდბრანდსდალენის რაიონში ინგლისელებთან შეტაკების შედეგად წინ წაიწია ლილეჰამერის ჩრდილოეთით დაბა ტრეტენამდე.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 25 აპრილი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, გერმანიის მოტორიზებულმა ნაწილებმა 55 მილით წაიწიეს ესტერდალენის ხეობაში და მიაღწიეს ტენსეტს, რომელიც რეროსის სამხრეთით მდებარეობს 28 მილის მანძილზე. ნორვეგიის ჯარი, რომელიც ელვერუმსა და რენს შორის დამარცხდა, ტყვედ არის წაყვანილი. გერმანიის ჯარმა, რომელიც ტრონჰეიმიდან უტევს, 20 მილით წაიწია და მიაღწია მელჰუსს, რეროსის ჩრდილოეთით 55 მილის მანძილზე.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანელებმა 125 მილით წაიწიეს წინ ოფხუსიდან. გერმანელთა 3 საესკადრო ნაღმოსანმა სტეინკიერიდან გააძევა მოკავშირენი, რომლებმაც 6 მილით დაიხიეს უკან. გერმანელებმა რეროსსა და ტენსეტს შორის ჰაერიდან ყუმბარები დაუშინეს და გაანადგურეს მატარებელი, რომელსაც ნორვეგიელთა ჯარი მიჰყავდა.

ნიუ-იორკი, 26 აპრილი (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" გადმოგვცემს, რომ ტრონჰეიმში გადასული ინგლისელთა ჯარი შესდგებოდა ერთი ბატალიონი ტერიტორიული ჯარისაგან, 1500 კაცისაგან შემდგარი მსუბუქი ქვეითი ჯარისაგან, რომელსაც არა ჰქონდა საზენიტო ქვემეხები, თვითმფრინავები და არტილერია. „ინგლისელთა ცუდად შეიარაღებული ჯარი,—სწერს გაზეთი,—თოვლსა და ტალახში გაჰგზავნეს გამანადგურებელი ძალის გერმანელთა საომარი იარაღის წინააღმდეგ. ინგლისელ ჯარისკაცთა უმეტესობა სულ ერთი წელია, რაც სამხედრო სამსახურში იმყოფება და გამოუცდელია. მათ უკვე ძვირად დაუჯდათ ლონდონის დიდი სამხედრო შეცდომა".

ყუმბარების დაშენა ნარვიკისათვის

ბერლინი, 25 აპრილი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ქალაქ ნარვიკისა და მისი ნავსადგურისათვის ყუმბარების დაშენაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის ორი სახაზო გემი, რამდენიმე კრეისერი და საესკადრო ნაღმოსანი. საარტილერიო სროლამ ქალაქს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ამ საარტილერიო სროლის შედეგად გერმანიის ჯარი არ დაზარალებულა. გერმანიის ჯარს აქ ხელსაყრელი პოზიციები უჭირავს.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში უშენენ ყუმბარებს ნარვიკს, ისინი ერთხელაც არა ცდილან გადმოესხათ დესანტი ნარვიკში.

ინგლისის პრესა აკრიტიკებს სამხედრო სამინისტროს მოქმედებას

ლონდონი, 26 აპრილი (საქდესი). გაზეთები მკაცრად აკრიტიკებენ სამხედრო სამინისტროს მოქმედებას, რომელიც ცდილობს საიდუმლოდ შეინახოს ცნობები ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ, და მოითხოვენ ყველა ფაქტის გამოქვეყნებას.

„დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი იუერი აცხადებს, რომ ინგლისის ჯარმა, რომელიც ნამსოსში გადასხეს, საჭირო მომზადების გარეშე დაიწყო წინსვლა ტრონჰეიმისაკენ. იმის ნაცვლად, რომ მცირე მზვერავი რაზმები გაეგზავნათ გერმანიის პოზიციების განლაგების ადგილის გამოსარკვევად, სამხრეთისაკენ. სასწრაფოდ გაგზავნეს ორი ბატალიონი ისე, რომ მათ არავინ უწევდა საკმაო დახმარებას. სტეინკიერის რაიონში ისინი წააწყდნენ გერმანიის ჯარს, რომელიც მომზადებულ პოზიციებზე იმყოფებოდა; ვიდრე ისინი მაშველ ძალებს მიიღებდნენ, მათ წინააღმდეგ იერიში მიიტანა ფლანგიდან გერმანიის ჯარმა, რომელიც საესკადრო ნაღმოსნებიდან გადმოსხეს ფიორდის სანაპიროზე. ინგლისის ჯარს ყუმბარები დაუშინა საესკადრო ნაღმოსანთა არტილერიამ; მან ჰაერიდანაც განიცადა ბომბარდირება. ინგლისელებს მხოლოდ შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეეძლოთ პასუხის გაცემა. „საკმაო დიდი ზარალის" შემდეგ ორივე ბატალიონმა უკან დაიხია.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა დაიკავა რეროსი; იგი მდებარეობს სპილენძის სამადნოების რაიონში, სტერენის სტრატეგიული სარკინიგზო კვანძის სამხრეთით 70 მილის მანძილზე, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ჯარებს უჭირავთ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ გერმანელებმა რეროსის შენარჩუნება შესძლეს მაშინ ნორვეგიის ჯარი, რომელიც მდინარე გლომის აღმოსავლეთით იმყოფება, მოწყვეტილი იქნება დანარჩენ ნორვეგიას. მაგრამ, როგორც იუწყებიან, ახლა ინგლის-საფრანგეთის ჯარმა დაიკავა რეროსზე გაბატონებული მაღლობები, ხოლო, დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ამ რაიონში ბრძოლა უკვე დაიწყო.

2 მილიონი ლტოლვილი

ჩუნცინი, 26 აპრილი (საქდესი). „სინშუბაო" მოუწოდებს მთავრობას სასწრაფო ზომები მიიღოს შანდუნისა და ხებეის პროვინციებში დამშეულთათვის დახმარების გასაწევად. ხებეის პროვინციის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობამ წყალდიდობის დროს 700 მილიონი ჩინური დოლარის ქონება დაჰკარგა. ლტოლვილთა რაოდენობა 2 მილიონ კაცს აღემატება.

წალენჯიხის რაიონის პარტიული მუშაკების, პროპაგანდისტების და აგიტატორების ექსკურსია თბილისში

25 აპრილს თბილისში ჩამოვიდა წალენჯიხის რაიონის პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივანთა ჯგუფი 37 კაცის შემადგენლობით. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ისტორიული სტალინური ადგილების დათვალიერება და პარტიული მუშაობის გამოცდილების მიღება.

ჩამოსულებმა დაათვალიერეს ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, გაეცნენ ლადო კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლის მუშაობას, ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს და ბოლოს ეწვივნენ „კომუნისტის" კომბინატს. პოლიგრაფიული ტექნიკის ახალი მიღწევების მიხედვით მოწყობილი „კომუნისტის" სტამბის სხვადასხვა საამქროების დათვალიერების შემდეგ, ექსკურსანტებმა დაათვალიერეს რედაქციის განყოფილებები და გაეცნენ მათ მუშაობას.

28 აპრილს წალენჯიხელი ექსკურსანტები გაემგზავრნენ გორს.

ქარელის რაიონმა შეასრულა მარცვლეულის თესვის გეგმა

ქარელის რაიონმა დაწესებულ ვადაზე 15 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეული კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმა. 25 აპრილისათვის, ნაცვლად 8.692 ჰექტარისა, დათესილია 8.778 ჰექტარი — გეგმის 101 პროცენტი.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ა. ხუციშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლაცაბიძე

თბილისის ფიზკულტურელები საპირველმაისო პარადზე

თბილისის ფიზკულტურელები საპირველმაისო პარადისათვის ემზადებიან. ისინი ამ დღეს 4-ათასიან კოლონად გამოვლენ და ცხადჰყოფენ, რომ მზად არიან შრომისა და საბჭოების ქვეყნის დაცვისათვის.

საპირველმაისო დემონსტრაციაში 26 საზოგადოება და სასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის: ფიზკულტურის ინსტიტუტი და ტექნიკუმი, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „მედიკი", „ქარიშხალი", „მოსავალი", „სპარტაკი", „ბოლშევიკი" და სხვ. ველოკლუბს გამოჰყავს 100 ველოსიპედისტისაგან შემდგარი კოლონა.

წარსული წლების განსხვავებით, გაერთიანებულ კოლონაში მონაწილეობას მიიღებს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის ყველა სასპორტო სექცია. მათ წარუძღვებიან ქალაქის საუკეთესო ფიზკულტურელი - სპორტსმენები. ბერიას სახელობის მოედანზე ფიზკულტურელები მოაწყობენ ფიზკულტურულ გამოსვლებს.

29 აპრილს სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაში მოეწყობა მთელი ფიზკულტურული კოლონის გენერალური რეპეტიცია. (საქდესი).

საქდესის გასწორება

საქდესის ა. წ. 26 აპრილის განსაკუთრებული ბიულეტენის (სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ) მეთერთმეტე ფურცელზე ქვევიდან მეხუთე სტრიქონი (იხ. „კომუნისტის" 27 აპრილის ნომრის პირველი გვერდი — „III. მევენახეობის დარგში" — პირველი სვეტის მე-8 სტრიქონი) (ნაცვლად 1940 წელს — 5.400 ჰექტარი) უნდა იკითხებოდეს:

1940 წელს — 5.200 ჰექტარი

ბაქო. 26 კომისრის სახელობის ძეგლი.

თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარების გეგმა

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება 1 მაისისათვის—საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღესასწაულისათვის.

1 მაისს დილით ლ. ბერიას სახელობის მოედანზე, შეიკრიბება 7000-ზე მეტი მოწინავე მშრომელი: თბილისის საწარმოთა სტახანოველები, საბჭოთა ინტელიგენციის — მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები.

დილის სრულ 10 საათზე დაიწყება თბილისის გარნიზონის ჯარის პარადი. პარადის დამთავრების შემდეგ მოედანზე გამოვა ფიზკულტურელთა 4-ათასიანი კოლონა. ფიზკულტურელები ჩაატარებენ გიმნასტიკურ ვარჯიშობას. ამის შემდეგ დაიწყება მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრანტთა კოლონები შემდეგი რიგით გაივლიან:

ლენინის რაიონის მშრომელები იკრიბებიან საბჭოს ქუჩაზე, პარტიის რაიონული კომიტეტის შენობასთან; დილის სრულ 9 საათზე საბჭოს ქუჩით წავლენ ვაგზლის მოედნისაკენ, გაივლიან ჩელუსკინელთა ხიდს, აივლიან ლენინის ქუჩას და წავლენ რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხრით. 11 საათზე ლენინის რაიონის მშრომელები მეწინავე კოლონით დგებიან სასტუმრო „თბილისთან".

ლ. ბერიას სახელობის რაიონის მშრომელები დილის 8 საათზე იკრიბებიან სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე, მეწინავე კოლონით მიადგებიან ჩელუსკინელთა მოედანს და მიჰყვებიან ლენინის რაიონს.

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები დილის 8 საათზე იკრიბებიან მარის ქუჩაზე, მეწინავე კოლონით გამოდიან ლენინის ქუჩაზე და მიჰყვებიან ლ. ბერიას სახელობის რაიონს.

სტალინის რაიონის მშრომელები იკრიბებიან დილის 8 საათზე პლეხანოვის პროსპექტზე, დგებიან მეწინავე კოლონით ჟორესის ქუჩისაკენ, 9 საათსა და 30 წუთზე გაივლიან ელბაქიძის ხიდს, ადიან რუსთაველის პროსპექტზე და წავლენ რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხრით. დილის 11 საათზე მეწინავე კოლონით დგებიან სასტუმრო „თბილისთან", ლენინის რაიონის კოლონის გვერდით.

მოლოტოვის რაიონის მშრომელები იკრიბებიან დილის 8 საათზე პლეხანოვის პროსპექტზე, მეწინავე ნაწილით გამოდიან ჟორესის ქუჩაზე და მიჰყვებიან სტალინის რაიონს.

26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელები დილის 8 საათზე იკრიბებიან შაუმიანის მოედანზე, დაჰყვებიან კალიაევის დაღმართს, გაივლიან კალიაევის სახელობის ხიდს, შემდეგ სანაპირო ქუჩას, მეწინავე ნაწილით დგებიან ელბაქიძის ხიდისთავთან და შემდეგ მიჰყვებიან მოლოტოვის რაიონს.

კიროვის რაიონის მშრომელები დილის 8 საათზე იკრიბებიან სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე და მიჰყვებიან 26 კომისრის სახელობის რაიონს.

დემონსტრანტთა კოლონები ეწყობიან ოც-ოც კაცად მწკრივში.

ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის, ბერიას სახელობის, კიროვის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების კოლონები გაივლიან კომინტერნის ქუჩას, ლ. ბერიას მოედანზე ჩაუვლიან ტრიბუნას, გადასჭრიან ბერიას სახელობის მოედანს და დაეშვებიან პუშკინის ქუჩით, შემდეგ კი, სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე დაიშლებიან.

მოწაფეები მონაწილეობას იღებენ თავიანთი რაიონის მშრომელთა დემონსტრაციაში და მიდიან რაიონის კოლონების წინ.

პარადის დაწყების წინ მოედანზე ტრიბუნასთან შეიკრიბებიან სახელმწიფო მომღერალთა გაერთიანებული გუნდები კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით, აგრეთვე ნაკრები ორკესტრი წითელი არმიის, შინსახკომისა და მილიციის სასულე ორკესტრების შემადგენლობით, ამხ. დოლენკოს ხელმძღვანელობით.

საღამოს მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ იქნება გაჩირაღდნებული. 1 და 2 მაისს ქალაქის ყველა პარკსა და ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა.

2 მაისს თბილისის მშრომელთათვის მოეწყობა მასობრივი მაისობა. მაისობის ადგილია: მცხეთა და ხუდადოვის ტყე. 2 მაისისათვის გამოყოფილი იქნება 2 სპეციალური მატარებელი მცხეთამდე. მატარებლები სადგურ თბილისიდან გავლენ 8 საათსა და 20 წუთზე და 9 საათსა და 20 წუთზე. მცხეთიდან დაბრუნდებიან საღამოს 6 და 7 საათზე.

მაისობაზე შეკრებილ მშრომელთა მომსახურებისათვის გამოყოფილი იქნება აგრეთვე 6 ავტობუსი, 10 სატვირთო და 15 მსუბუქი ტაქსი, რომლებიც ივლიან თბილისსა და მცხეთას შორის, და 6 ავტობუსი იმ მშრომელთა მომსახურებისათვის, რომლებიც მაისობას ხუდადოვის ტყეში გაატარებენ.

1 მაისს დემონსტრაციის დროს და 2 მაისს მაისობის ადგილებში მოეწყობა კვების პროდუქტების, გამაგრილებელი სასმელების, თამბაქოსა და სხვა ნაწარმის ფართო ვაჭრობა.

2 მაისს ყველა სასპორტო მოედნებზე და „დინამოს" ბერიას სახელობის სტადიონზე მოეწყობა მასობრივი ფიზკულტურული გამოსვლები (ფეხბურთი, ფრენბურთი, ველოგადარბენა და სხვ.).

(საქდესი).

ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარისადმი

№ 25

ქალ. თბილისი 1940 წ. 26 აპრილი.

§ 1.

1940 წლის 1 მაისს 10 საათზე საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის დღეს ბერიას სახელობის მოედანზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარის პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი.

§ 3

პარადის სარდლობა დაკისრებული აქვს ოლქის შტაბის უფროსის მოადგილეს ბრიგადის მეთაურს ამხ. ხრიაშჩევს.

§ 4

პარადზე გამოყვანილ იქნან გარნიზონის ჯარი და თბილისის მუშათა შეიარაღებული რაზმები ჩემ მიერ მითითებული ანგარიშის მიხედვით.

§ 5

ტანისამოსის ფორმა — საყარაულო უხვეულმაზაროდ და უაირწინაღოდ.

§ 6

ნაწილთა მეთაურებმა გაჰგზავნონ მეხაზენი ბერიას სახელობის მოედანზე ქალაქის კომენდანტის პოლკოვნიკ ა. რაზმაძის ხანკარგულებაში 1 მაისს 7 საათსა და 30 წუთისათვის.

§ 7

ბერიას სახელობის მოედანზე პარადში მონაწილეობის მისაღებად ნაწილები მივიდნენ 8 საათსა და 30 წუთიდან 9 საათამდე.

§ 8

პარადის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას და პასუხისმგებლობას ვაკისრებ ქალაქ თბილისის კომენდანტს ამხ. რაზმაძეს და მუშურ-გლეხური მილიციის უფროსს, სახელმწიფო უშიშროების უფროს ლეიტენანტს ამხ. გუჯაბიძეს.

გარნიზონის უფროსი — დივიზიის მეთაური **ტოლბუხინი**.

გარნიზონის სამხედრო კომისარი პოლკის კომისარი **პოპკოვი**.

ქალაქის კომენდანტი პოლკოვნიკი **რაზმაძე**.

მწერალთა კლუბში

29 აპრილს საღამოს რვა საათზე გაიმართება საპირველმაისო საზეიმო საღამო. მოხსენებას თემაზე: „პირველი მაისი, საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღე"—გააკეთებს ამხ. ი. აბაშიძე.

პირველი მაისისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: გ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ხ. ეული, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ა. გომიაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ილ. ხოშტარია, ქ. ბობოხიძე, გ. აბაშიძე, ვ. ჟურული, გ. კაჭახიძე, გ. კალანდაძე, ა. საჯაია, მ. მრევლიშვილი.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ოპერის მომღერლები: დ. გამრეკელი, მ. ნაკაშიძე, ე. სოხაძე.

28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ამხ. ხ. ა. ფრიშენბერგის ფასიანი ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ომი ევროპაში და ახლო აღმოსავლეთი".

25 აპრილს შეძენილი ბილეთები გამოდგება 28 აპრილისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

მუშსოფლკორთა კაბინეტში

(ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17)

28 აპრილს, საღამოს 7 საათზე შესდგება „კომუნისტის" რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებში

სახოპერა — „სევილიელი დალაქი", **რუსთაველის სახელობის** — „ბოგდან ხმელნიცკი", **მარჯანიშვილის სახელობის** — „ჩატეხილი ხიდი", **მუსკომედია** — „ხაჯარათი", **მოზარდ მაყ. თეატრი** — „ლადო კეცხოველი" (ღია წარმ. ზოოვეტინსტიტუტისათვის).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი პლეხანოვის პროსპექტი № 123, ტელ. 3-18-50

1940 წლის საზაფხულო სეზონი

მოწვეული მხატვრული ანსამბლები, ბრიგადები, კოლექტივები და გასტროლიორები:

საზაფხულო თეატრი

ესტრადის ოსტატთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატები **ქეთო ჯაფარიძე, პ. ი. კურზნერი** (პროფესორი), **ვასო გოძიაშვილი** (რესპ. დამს. არტისტი). **ლენინგრადის ოპერეტის ოსტატები: ქსენძოვსკი, ბრონსკაია, რუტკოვსკი. მოსკოვის ესტრადის ოსტატები: ვადიმ კოზინი, ლიდია რუსლანოვა, მ. გარკავი, ვ. გელცერი** (სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი). სომხეთის სსრ სახელმწიფო ჯაზი, ლენინგრადის ჯაზ-ანსამბლი ესტრადის ოსტატთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატის **კლავდია შულჟენკოს** და **ვლადიმერ კორალის** ხელმძღვანელობით. ბელოსტოკის ჯაზი **ა. როზნერის** ხელმძღვანელობით. ლვოვის მინიატიურების თეატრი. რუსული დრამის ანსამბლი **ვაგრამ პაპაზიანის** (სახალხო არტისტი) ხელმძღვანელობით. სტალინგრადის ოპერეტის სახელმწიფო თეატრი. **საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მხატვრული კოლექტივები** დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **კ. პაჭკორიას** (ორდენოსანი) ხელმძღვანელობით. აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **დ. კავსაძის** ხელმძღვანელობით. ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **მ. თარხნიშვილის** (ხელოვნების დამსახ. მოღვაწე) ხელმძღვანელობით. მეჩონგურეთა ანსამბლი **ა. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით. ვოკალური ანსამბლი კომპოზიტორ **ვ. ცაგარეიშვილის** ხელმძღვანელობით. ღია ესტრადა ყოველდღე ჯაზ-ესტრადა.

დახურული თეატრი

ესტრადის ოსტატთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატები **სედლიანოვა და სმოლკო, დ. ტალიშინსკაია, ო. დოლიძე, მირზოიანი და რეზცოვი, სერგეევა და ტასკინი.**

ქართული ესტრადის ოსტატები ნ. გოცირიძე (რესპ. სახ. არტისტი, ორდენოსანი), **ლ. კავსაძე** (რესპ. დამს. არტისტი, ორდენოსანი), **ე. აფხაიძე** (რესპ. დამს. არტისტი, ორდენოსანი), **თ. ჭავჭავაძე** (რესპ. დამს. არტისტი, ორდენოსანი), **ვ. ანჯაფარიძე** (რესპ. დამს. არტისტი), **პ. კობახიძე** (რესპ. დამს. არტისტი), **სალარაძე და ჯაფარიძე** (ორდენოსნები).

ვოდევილების თეატრი და საქსახესტრადის მსახიობები **მოსკოვის ესტრადის ოსტატები კ. ვ. ნიკოპოლსკაია, ნ. გლეიზაროვი, კ. მალახოვი, ე. რაგზინა, ზოია სანოვიჩი, ა. ლუკიაჩენკო, პეტროვი - ნერონოვი, ზ. კოლდოვსკაია, ა. ერემეევა, შუროვი და ტრუდლერი** (მედალებით დაჯილდოებულნი), **ლიუდმილა გეოლი, კ. პიატისოტსკაია, ნ. ბერეზოვსკი, მ. დნეპროვი და კ. მილიჩი. ლენინგრადის ესტრადის ოსტატები ჟორჟ დუკლაუ, ა. პ. რასკაზოვა, მ. ნაროვსკაია.** ჯაზ-აკორდეონი **ე. როზენფელდის** ხელმძღვანელობით. ლენინგრადის ბოშური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **შევირევის** ხელმძღვანელობით. **სტანისლავსკის სახელობის სტუდიის ანსამბლი, დონის ყაზახთა ანსამბლი, სომეხ აშუღთა ანსამბლი.**

საქსახესტრადის **დირექცია.**

200

1, 2, 3 მაისი

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

სეზონის გახსნა

საპირველმაისო სეირნობანი „ორდენოსანი საქართველოს სიმღერები და ცეკვები"

1, 2, 3 მაისი

საცეკვაო დარბაზი დანსინგი

საცირკო და საპარკო ატრაქციონები ბაიანი დუდუკი

მასობრივ თამაშობათა და გასართობათა ახალი მოედანი

1 მაისს—გუნდი ხელოვნ. დამს. მოღვაწის **კ. პაჭკორიას** ხელმძღვანელობით.

2 მაისს—გუნდი **დ. კავსაძის** ხელმძღვანელობით.

3 მაისს—გუნდი ხელოვნ. დამს. მოღვაწის **მ. თარხნიშვილის** ხელმძღვანელობით.

საბავშვო რკინიგზა და კარუსელი

45

საქ. ს. ს. რ. შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველო აცხადებს,

რომ 1940 წ. 1 მაისიდან 20 ივნისამდე, ყოველდღე 9-დან 17 საათამდე, გამოსასვლელი დღეების ჩათვლით იწარმოებს ავტო-მანქანისა და რეზინის სვლიანი ტრაქტორების და მოტოციკლების ნახევარწლიური ტექნიკური შემოწმება, ამასთანავე იმ ავტო-მეურნეობებში, სადაც მანქანების რიცხვი 5-თ ერთეულს აღემატება, შემოწმება იწარმოებს ადგილობრივ გარაჟებში, ხოლო იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ავტო-მოტორიანი სპორტი 5-თ ერთეულზედ ნაკლები რაოდენობით, უნდა წარუდგინონ იგი შესამოწმებლად თბილისში მუშურ-გლეხურ მილიციაში სამმართველოს ცხენოსანთა დივიზიონს (საბურთალო), საქართველოს სსრ რაიონებში კი—რაიონულ სახ. ავტოინსპექციებს.

რემონტში (ურეზინოდ) ან მივლინებაში მყოფ ავტომანქანებზე ავტომეურნეობანი ვალდებულნი არიან ზემოთ აღნიშნულ ვადაში წერილობითი ცნობა წარუდგინონ საქართველოს სახ. ავტოინსპექციას, ძერჟინსკის ქუჩა № 22-ში.

ავტო-მოტოტრანსპორტის ტექნიკურ შემოწმებაზე წარდგენისას აუცილებლად საჭიროა თან იქონიონ: 1) მანქანის პასპორტი, 2) სახ. ბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი, იმის შესახებ, რომ 12 - ტე §-ის მე-17-ტე კარის მიხედვით გადახდილია თვითეული მანქანის ტექნიკური შემოწმებისათვის 5 მანეთი და თვითეულ მოტოციკლისა 3 მანეთი, და 3) ცნობები იმ სახალხო კომისარიატის შესახებ, რომელსაც დაწესებულება ექვემდებარება და 4) კილომეტრთა რაოდენობა. რაც აქვს თვითეულ მანქანას შემოწმების დღისათვის განვლილი.

ის ავტომეურნეობანი, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ წარადგენენ მანქანებს შესამოწმებლად, ან არ აცნობებენ სახ. ავტოინსპექციას, რომ მათი მანქანები რემონტში ან მივლინებაშია, ან და ურეზინოდ დგანან, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთამდე.

საქ. შსკ. მ/გ. მილ. სამმარ. უფროსი სახ. უშიშრ. უფრ. ლეიტენანტი **გუჯაბიძე**.

105 სახ. ავტოინსპექციის უფროსი მილიც. ლეიტენანტი **ხოროშილოვი**.

მეუღლე გიორგი ჩიქვინიძე შვილით ლამარათი, მშობლები ფატი, ალექსანდრე, და თინა კელენჯერიძეები იუწყებიან, რომ 30 აპრილს დ. მაიაკოვსკში დანიშნულია

ქეთო ალექსანდრეს-ასულ კელენჯერიძე-ჩიქვინიძის

სამოქალაქო პანაშვიდი.

საქხილბოსტანის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება შალვა თევდორაძის დედის

მაკრინე თევდორაძის

გარდაცვალებას. 6123

მშობლები ლილი, ვახტანგ, ბებია ანიჩკა, კესა, ბაბუა ნოე, ბიძები გულია, ლადო, მამიდა ლიუსია შვილით ვახტანგით, ქსენია იუწყებიან

ნუგზარ ვახტანგის-ძე ჩიგოგიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. საპტრედიაში, ლენინის მე-6 შესახვევი № 8, 30/IV.

თომა, შალვა, ალიოშა ფერაძეები, ავალიშვილები, ცაგარელი, კალაძე, გუდიაშვილები, მახვილაძეები, გაჩეჩილაძე, ჩაჩავა, ლეჟავა, ოსიპოვები, თოლარაია, კვიმსაძე, ქარსელაძე თანაუგრძნობენ ვასილ მასხულიას ოჯახს

მიშიკოსა და ნადიას

გარდაცვალების გამო.

შვილები ლადო, კუკური, შოთა, ქეთო, ვენერა გიორგაძეები, ძმები კარპეზ, პავლე, დები თეოდორა, მატრონა ბურკაძეები და ძმისშვილები იუწყებიან

ვასასი ბურკაძე-გიორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ვანში 28/IV. 6122

საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო რეზერვების სამმართველოს ინსპექცია საქართველოში იუწყება

რუბენ არზუმანოვის

გარდაცვალებას. 6129

ბაბუა ვლადიმერ, ბებია დომნა, ბიძები ექ. პავლე, კარლო, აკაკი, ტერენტი, ბიცოლები ნინო, ვალია, ანეტა შვილებით იუწყებიან

ეთერ ჩიჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/IV 5 ს. 6151

ნატალია მაჭავარიანი შვილებით: ელენე, ნინო, ჰიჰიკო, რძალი მარგალიტა, სიძე ელიზბარ ჩხიკვაძე იუწყებიან

ნადია მიხეილის-ასულ მასხულიას

გარდაცვალებას.

მეორე საფერშლო სკოლის დირექცია და პედ. პერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის ბუხჰალტერ ალექსანდრე კვინიკაძის მეუღლის

ქეთო ალექსის-ასულ კვინიკაძის

გარდაცვალებას. 6118

ქმარი ვასილი შვილებით: ივანე, ალექსანდრე, თამარ, რძლები კეტი, პილდა იუწყებიან

ნადია მასხულიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 29/IV 4½ საათ. კალანდაძის 9.

მეუღლე მარო და სანდრო თამაზაშვილი ოჯახობით იუწყებიან, რომ 28/IV 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ

თედორე (ფედია) დიმიტრის-ძე ბრანაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 6120

ანეტა, ქეთო, ლიზა, სიმონ, ბესო ულენტები, მიშა აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 30/IV ს. ქვაციხეში (ქიათურის რაიონი) დანიშნულია დედის

ნინო მიხეილის-ასულ ლორთქიფანიძე-ულენტის

სამოქალაქო პანაშვიდი.

ექიმები ლ. გოგებაშვილი, ლ. ბეჟანიშვილი, თ. ქვარია, კ. მესხი, ს. ფულარიანი, რ. ზაალიშვილი, ს. ხაფავა, ნ. პეტრიაშვილი იუწყებიან ექიმ

სერგო სიმონის-ძე ბარქაიას

გარდაცვალებას. 6104

მშობლები ბარნაბ, კალიმენი, და ოლია, ძმა დათიკო, ბაბუა ფირან მაკარიძეები იუწყებიან

შალვა მაკარიძის

გარდაცვალებას. 6115

მშობლები ლიზა, კოლია, ძმა იურიკო, ნატალია, ირაკლი ჩიხლაძეები, ეჟენი, ალექსანდრე ვაჩეიშვილები, დეიდა, მამიდები იუწყებიან, რომ 30/IV 11 ს. ს. გორდში (ქ. წულუკიძე) დანიშნულია ძმების

გერიკო და თენგიზ ჩიხლაძეების

პანაშვიდი. 2112

მშობლები აპოლონ, ქეთო, და ციალა, ძმა ლადო იუწყებიან

ეთერ ჩიჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/IV 5 ს. II ტყეკულტურის 11. 6150

დედა ბარბალე, მეუღლე ლუბა, შვილები მიშა, საშა, ეთერ, შუბლაძეები, ძმა ნესტორ, რძალი იულინე, შვილებით იუწყებიან

სპირიდონ მიხეილის-ძე შუბლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29/IV 7 ს. გამოსვენება 30/IV 6 ს. პასტერის, 3. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6131

დედა მატრონე, ცოლი ნორა შვილებით ჯონდოთი და ოთარით, დები აგნესა, ელენე, იულია, რძალი ლიუბა, ძმა გერონტი იუწყებიან

ნოე თეოფილეს-ძე წულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. ქვიანში. 6125

პ. გძელიშვილი, ბ. ქემოკლიძე, კ. ბურჭულაძე, მამიაშვილი, ცხადაძე, მელია, გეწაძე, ნოვაჟენოვა, ფ. და გ. იაშვილები, აბესაძე, კუჭუხიძე, ჩოდაშელი ა. და გ. ნემსაძეები, ხეცაძე, კირკიტაძე, ჰურაძე, ჯულელი, ქებაძე, ბოხოჩაძე იუწყებიან შინსახკომის ზესტაფონის განყოფილების უფროსის გ. სხირტლაძის დედის

ეკატერინეს

გარდაცვალებას. 6128

სასამართლო ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ლაბორატორიის თანამშრომელს ამხ. საშა კვინიკაძეს მისი მეუღლის

ქეთო ალექსის-ასულ კვინიკაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ნიმფა და შალიკო ქუთათელაძეები, რძალი ელენე შვილებით, სიძე ვლადიმერ მაჭარაძე შვილით ნუცათი იუწყებიან

მარგალიტა ნიკოლოზის-ასულ ქუთათელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/IV 5 ს. ქ. წულუკიძეში. 6132

მშობლები ქსენია, პავლე, ძმა ვახტანგ, გძელიშვილები იუწყებიან, რომ 29/IV 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

პატარა ცაცოს

სამოქალაქო პანაშვიდი. 6130

ნიკო გურიელი მეუღლით ვერიკოთი და შვილით დავითით იუწყებიან

პავლე ივანეს-ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ჩოხატაურში 28/IV.

დედა ელენე, ცოლი მარგალიტა შვილებით, და ანიკო, ძმები მამია, სანდრო, რძალი ლიდა ხუნდაძეები იუწყებიან, რომ 28/IV საბჭოს, 81 ბინაზე დანიშნულია

შოთა ალფეზის-ძე ხუნდაძის

პანაშვიდი. 6111

ილია რუხაძე ცოლშვილით, ბაბო, ოლია, ლუბა რუხაძეები იუწყებიან ბიძაშვილის

ბუხუ (სერგო) სიმონის-ძე ბარქაიას

გარდაცვალებას. 6102

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1407